

მარიაშ მკალაუიშვილი, თამარ სატიუშვილი,
თამარ ჩხიკვაძე

მოქალაქეობა 10

მასწავლებლის წიგნი

II სემესტრი



მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი,
თამარ ჩხიკვაძე

მოქალაქეობა

X კლასი

მასწავლებლის წიგნი

II სემესტრი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ
2022 წელს



ა(ა)იპ “ეპიგრაფი”

ავტორები: მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი, თამარ ჩხიკვაძე.

მოქალაქეობა X კლასი

მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი: თეონა მკალავიშვილი

დიზაინერი: ნინო მკალავიშვილი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: ლია არევაძე

პირველი გამოცემა

© გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”, 2022

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-4887-2

გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”

მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ირ. ევდოშვილის ქ. 18, ბ. 168

ტელეფონი: (+995) 555 004 227

ელ. ფოსტა: geo.epigraphi@gmail.com

ვებ.გვერდი: www.epigraphi.ge

სარჩევი

შესავალი.....	4
მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა.....	6
1. განმარტებები სამართლებრივი კულტურის თემის დამუშავებისთვის.....	10
2. თემატური მატრიცა.....	14
3. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.....	54
4. ლექსიკონი.....	64
5. სახელმძღვანელოში გამოყენებული სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები:.....	68

შესავალი

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! გმადლობთ ჩვენი სახელმძღვანელოს მიმართ გამოხატული ნდობისა და არჩევანისთვის. საავტორო ჯგუფის მიზანია, მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალებითა და რესურსებით მეგზურობა გაგიწიოთ სასწავლო პროცესის საინტერესოდ და დინამიკურად წარმართვაში. ვფიქრობთ, ჩვენი სახელმძღვანელოს დახმარებით თქვენ შეძლებთ, მოსწავლეები ჩართოთ ცოდნის აქტიურად აგების პროცესში.

სახელმძღვანელო „**მოქალაქეობა 10**“ ემსახურება საქართველოს მოქალაქის აღზრდასა და განათლებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს თანამედროვე, სახელმწიფოებრივად და გლობალურად მოაზროვნე აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას, დაეხმაროს მოსწავლეებს დემოკრატიული პრინციპების გაცნობიერებასა და მისი ღირებულებითი სისტემის ცხოვრების წესად ქცევაში, ჩამოუყალიბოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ საზოგადოების აქტიურ წევრებად და მსოფლიო მოქალაქედ აქცევს, რადგან მოქალაქეობრივი აღზრდა-განათლება არის ინდივიდების სულიერი, მორალური, სოციალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა.

წარმოდგენილ მასწავლებლის სახელმძღვანელოში თქვენ გაეცნობით: მოსწავლის სახელმძღვანელოს აგებულებას, თემატურ მატრიცას, სწავლებისა და შეფასების მეთოდურ რეკომენდაციებს; სახელმძღვანელოს ახლავს დანართები, ლექსიკონი, გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალი.

შესავლის შემდეგ თქვენ გაეცნობით მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურას, რომელიც დაგეხმარებათ, ნათლად წარმოიდგინოთ პარაგრაფების აგებულება, მოცემული რესურსები თუ პირობითი აღნიშვნები და ეფექტურად გამოიყენოთ ისინი. მოსწავლის წიგნის აგების არქიტექტურა კი საინტერესო, უწყვეტ, სიუჟეტურ ქარგას გათავაზობთ.

მე-10 კლასის სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად, შედგება ორი თემისგან, კერძოდ, **1. გლობალური მოქალაქეობა, 2. სამართლებრივი კულტურა**. სახელმძღვანელო 2 ნაწილადაა წარმოდგენილი.

პირველი თემის (გლობალური მოქალაქეობა) მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ და მათ ცნობიერებაში მკვიდრ წარმოდგენად იქცეს ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორები; შეძლონ სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების დემოკრატიის პრინციპებთან დაკავშირება; გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა; გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება.

ამ მიზნის მისაღწევად, პირველ თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: **მოქალაქეობა ანტიკურ ხანაში, მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება, სამშობლო დედამიწა, გზა გლობალური მოქალაქეობისკენ.**

მასწავლებლის წიგნის I ნაწილის

პირველ თავში შემოგთავაზებთ ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპები და საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი.

მეორე თავში მოცემულია განმარტებები გლობალური მოქალაქეობის თემის დამუშავებისთვის.

მესამე თავში წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში განხილულია კომპლექსური დავალების განხორციელების დეტალური ინსტრუქციები, აქტივობებისა და რესურსების გამოყენების შესაბამისი რეკომენდაციები.

მეთოხე თავში მოცემულია მეთოდური რეკომენდაციები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით.

მეხუთე თავში აღწერილია მეთოდური რეკომენდაციები სწავლების სტრატეგიებთან დაკავშირებით.

დანართებში საკანონმდებლო დოკუმენტებიდან წარმოდგენილია საჭირო ამონარიდები და გამოყენებული ელექტრონული რესურსები.

ლექსიკონში- სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ტერმინოლოგია.

ბოლოს მითითებულია **სახელმძღვანელოში გამოყენებული სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები**.

მეორე თემის (სამართლებრივი კულტურა) მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და გაანალიზება, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას; სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების ჩრილში; სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის მოქალაქის პერსონალური როლისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა; სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და დილემაზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

ამ მიზნის მისაღწევად, მეორე თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი;
2. დანაშაული და მართლმსაჯულება;
3. ადამიანის უფლებები და სამართლებრივი პასუხისმგებლობები;
4. სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოება და მდგრადი განვითარების მიზნები.

მასწავლებლის სახელმძღვანელოს II ნაწილი ეყრდნობა რა I ნაწილში მოცემულ ინფორმაციას, გთავაზობთ მეორე თემის დამუშავებისათვის დამატებით რეკომენდაციებს, კერძოდ:

პირველ თავში მოცემულია განმარტებები სამართლებრივი კულტურის თემის დამუშავებისთვის.

მეორე თავში წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში განხილულია კომპლექსური დავალების განხორციელების დეტალური ინსტრუქციები, აქტივობებისა და რესურსების გამოყენების შესაბამისი რეკომენდაციები.

მესამე თავში სასწავლო პროცესის მართვასა და შეფასებასთან დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და რეკომენდაციები სახელმძღვანელოს ახლავს **ლექსიკონი**, რომელიც გაგიადვილებთ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ტერმინოლოგიის მოსწავლეთათვის ახსნას. ასევე, მითითებულია **სახელმძღვანელოში გამოყენებული სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები**.

დაბოლოს, მოსწავლის წიგნი დაწერილია ახალგაზრდებისთვის გასაგები, თანამედროვე ლექსიკით; პარაგრაფებში განხილული ამბები უკავშირდება რეალურ ცხოვრებას თუ მათივე თანატოლების თავს გადახდენილ რეალურ ისტორიებს, ქმნის გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის წინაპირობებს, ამკვიდრებს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების სტანდარტებს, რითაც შესაძლებელს ხდის საგნის სწავლების მიზნების მიღწევას, მოსწავლეთა მსოფლიო მოქალაქედ, საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბებას!

გამომცემლობის ვებგვერდის საშუალებით თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, მოგვმართოთ შეკითხვებით და გაგვიზიაროთ თქვენი პრაქტიკული გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებთ შემოთავაზებულ მეთოდურ რეკომენდაციებს, რომელი აქტივობები, მეთოდები/სტრატეგიები მოიძიეთ დამატებით. ასეთი თანამშრომლობა დაგვეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. გისურვებთ წარმატებებს!

მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა:

- ✓ კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ წყაროზე

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით ილია ჭავჭავაძის წერილს კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ. იმ-სჯელეთ, რამდენად აქტუალურია მოცემულ წერილში წამოჭრილი საკითხები დღეს, რა შეიცვალა და რა დარჩა პრობლემად მე-19 საუკუნიდან დღემდე. თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოხმობით და პრეზენტაციის სახით წარმოადგინეთ კლასში.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ შესაძლებლობებს ქმნის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის?
- რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობას, პიროვნების მიერ საკუთარი აზრის თამამად გამოხატვის უნარს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში?

- ✓ კომპლექსური დავალების განხორციელების გზის დაგეგმვა და საკვანძო შეკითხვა

საკვანძო შეკითხვა:

როგორია დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება და რა გავლენას ახდენს ის პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებაზე?

- ✓ საკითხთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

თავი 2 სამართლებრივი კულტურა

§ 1. სამართლებრივი სახელმწიფო

წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- | | |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none">• გაიხსენეთ, რა მახასიათებლები აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოს? | <ul style="list-style-type: none">• თქვენი აზრით, რომელი ღირებულებებითა და უნარებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი მოქალაქეები დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის? |
|--|--|

- ✓ **თეორიული ტექსტი** - კონკრეტული მაგალითებით, როგორც თანატოლთა მონათხრობის, ასევე ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინფორმაციით, მიზნობრივი ილუსტრაციებით, ფოტოებით



ალექსი

გუშინ ერთი აყალმაყალი ატყდა ჩვენს სკოლაში. თუმცა, ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა. მათემატიკის გაკვეთილი მიმდინარეობდა, როცა დერეფნიდან ხმაური შემოგვეესმა. ვილაც კაცი მთელი ხმით ყვიროდა: „რა უფლებით არ მიშვებთ სკოლაში, მე სხვა დრო არ მაქვს, სწორედ ახლა უნდა ვნახო დირექტორი! ჩემ წინ კარგად შეუშვით ის ქალბატონი? თქვენი ნაცნობი იყო?!“ მორიგე მასწავლებელი კი მკაცრი ტონით პასუხობდა: „არ შეიძლება, ბატონო, ახლა არ შეიძლება, დასრულებულია გაკვეთილები და მერე შეგიშვებთ; ის ქალბატონი დირექტორის ნათესავი იყო და არ შემევთ?“ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ და თანდათან ხმას უმატებდნენ. „ეს რა კანონები შემოიღეთ, და თუ გინდათ მათი დაცვა, ყველასთვის ერთნაირად იყოს, რას მიქვია დირექტორის ნათესავი და მეგობარი?!“ - გაჰყვიროდა კაცი როხროხა ხმით. ჩვენ ხორხოცი ავტყებთ, მეტი რა გვინდოდა? ვილას ასსოვდა მათემატიკა, კაცის ხმაზე და ლაპარაკის ტონზე ავვითყდა სიცილი. მასწავლებელმა გვითხრა: „იციით რას გეტყვით? სიცილის ნაცვლად ჯობს, თქვენ და თქვენმა მშობლებმა კარგად იცოდეთ სკოლის შინაგანანსის, სკოლის შემოსასვლელშია საინფორმაციო დაფაზე გამოკრული, მაგრამ ვინ არის ნამკითხველი?“. ჩვენ კი ვიცოდით სკოლის შინაგანანსის შესახებ, მაგრამ ნაკითხული ნამდვილად არ გვქონდა. ეჭვი მეპარება ჩვენს მშობლებსაც სკოდნოდათ. „მაინც რა წერია ამ შინაგანანსში ისეთი, ამ კაცს რომ არ უშვებთ სკოლაში-მეთქი?“ - ვიკითხე. მასწავლებელმა მკაფიოდ და დამარცვლით გვითხრა: „რა და: ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ“. „დირექტორის ნათესავზე არ მოქმედებს ეს კანონი?“ - იკითხა წინომ. მასწავლებელმა თვალები გადაატრიალა და მხრები აიჩეჩა. ესეც ჩვენი სკოლის მთავარი დოკუმენტი. 😊

სამართლებრივი კულტურა თაპი 2

ფხენიანმა უცხოელებს საკუთარი მობილური ტელეფონების ხმარების უფლება მისცა ქვეყნის შიგნით

ბოლო ინფორმაციის თანახმად, ჩრდილოეთ კორეაში მყოფ უცხოელებს ამიერიდან შეეძლება სოციალურ ქსელ ფეისბუქსა და Twitter -ზე საკუთარი მობილური ტელეფონებიდან შევიდნენ. ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება თითქმის სრულებით იზოლირებულმა ქვეყანამ ახლახანს მიიღო. მობილური ტელეფონების პროვადერმა, კორიოლინკმა, ინტერნეტქსელი აამოქმედა და მსოფლიოში Twitter-ზე განთავსებული ფოტოების საშუალებით იხილა აქამდე უცნობი ჩრდილოეთ კორეა. ჩრდილოეთ კორეაში მიმდინარე ცვლილებები ქვეყანაში მას შემდეგ დაიწყო, რაც მოულოდნელად ფხენიანმა უცხოელებს საკუთარი მობილური ტელეფონების ხმარების უფლება მისცა ქვეყნის შიგნით, რაც მანამდე აკრძალული იყო. ჩრდილოეთ კორეაში ჩასული უცხოელები ტელეფონს საზღვარზე ტოვებდნენ.



წყარო: „ჩრდილოეთ კორეის უპრეცედენტო გადაწყვეტილება“. 2013. მოპოვებულია <https://www.amerikiskhma.com/a/north-korea-reform/1613035.html>

←

რუსი სამხედროების მიერ დაკავებული ქართველი
ექიმი ბრალს არ აღიარებს

ახალგორის განათლების განყოფილების ყოფილი
უფროსი და დამსახურებული მასწავლებელი 67 წლის
თამარ გიგაური 3 ნოემბერს 7-მეტრიან ჭაში ჩავარდა.
მას სხეულის მრავლობითი დაზიანება და მოტეხილობა
აქვს. დაშავებულს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონ-
ში სათანადო სამედიცინო დახმარება ვერ გაუწიეს,
რის გამოც ოჯახის წევრები პაციენტის გადმოყვანას

✓ კითხვებისა და დავალებების ნაწილი



დავალება: გაეცანით ტექსტს და ჩაინიშნეთ, ბერძენ ფილოსოფოსთა მოსაზრებებიდან, რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის.



გამართეთ დისკუსია თემაზე:

დღეს ჩვენს ქვეყანაში რამდენად არის შექმნილი გარემო ადამიანის განვითარებისათვის, საკუთარი თავის რეალიზებისა და კეთილდღეობის მისაღწევად? თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოყვანით.




იმსჯელეთ – რა პრობლემები იკვეთება ალექსის ნაამბობში?

რამდენად მნიშვნელოვანია იმ გარემოში, სადაც ადამიანს საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად უწევს ცხოვრება, არსებობდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები,

სახელმძღვანელოში მოცმულ ინფორმაციას წინ უძღვის სიტუაციები, შემთხვევები, შეკითხვები. ცოდნის კონტურიერებისათვის რეკომენდირებულია, ინფორმაციის მიწოდებამდე მოხდეს შემთხვევების განხილვა, შეკითხვების საშუალებით მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება, ვარაუდებისა და ჰიპოთეზების გამოთქმა, დასაბუთება და მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვით მოსწავლეებს ინფორმაციის გაცნობა, დამუშავება, დაკავშირება.

სახელმძღვანელოში თქვენ შეხვდებით ამონარიდებს სამართლებრივი დოკუმენტებიდან. იმისათვის რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ გვერდის <https://www.matsne.gov.ge> გაცნობასა და გამოყენებას.



The screenshot shows the top section of the Matsne.gov.ge website. The header is dark blue with a logo on the left and navigation links in the center. Below the header is a light blue banner with the text 'ისტორია' (History). The main content area has a white background and contains a large paragraph of text in Georgian, followed by a smaller paragraph. The footer is dark blue and contains copyright information.

საქართველოს
საკანონმდებლო მაცნე

დოკუმენტები | შესვლა | რეგისტრაცია | ქართული

მთავარი | ჩვენ შესახებ | დახმარება | საბარო ინფორმაცია | გამოკითხვა

ისტორია

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, დაარსებულია 1998 წელს და 2010 წლის ჩათვლით გამოიცემოდა ბეჭდური სახით.

2011 წლიდან კი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ახალი ფორმატით მომხმარებელს სთავაზობს ყველასათვის ხელმისაწვდომ, დაცულ, მუდმივად განახლებად ოფიციალურ ვებგვერდს - matsne.gov.ge, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები.

სწორედ matsne.gov.ge-ზე გამოქვეყნების შემდეგ იძენს წმინდითა და ნორმატიული აქტი ოფიციალურ იურიდიულ ძალას.

ვებგვერდი მომხმარებელს სთავაზობს ოფიციალური იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტების სრულყოფილ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს ყველა ნორმატიულ აქტს. ნორმატიული აქტების საძიებო სისტემაში მომხმარებელს შეუძლია იხილოს კოდიფიცირებული აქტები და მათი ისტორია, განხორციელებული ცვლილების ყველა სტადიაზე.

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2010-2022, ყველა უფლება დაცულია. დამფუძნებელია A+Ry LTD-ს შპს

1. განმარტებები სამართლებრივი კულტურის თემის დამუშავებისთვის

სასწავლო თემა სამართლებრივი კულტურა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა და კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი.

X კლასი

თემა 2. სამართლებრივი კულტურა

თემა გულისხმობს სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან ასპექტების (კანონმორჩილება, ადამიანის უფლებების აღიარება) შესწავლას, კონკრეტული მექანიზმების, მაგალითებისა და დილემების განხილვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება სამართალზე დაფუძნებული ბერკეტების ამოქმედებით კონკრეტული პრობლემების გადაჭრა (მაგალითად, ძალადობის პრევენცია, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა).

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და გაანალიზება, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას;

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების კრილში;

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის მოქალაქის პერსონალური როლისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა;

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებული პრობლემებზე და დილემებზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები პასუხობს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე თემის შესწავლისას.

სამართლებრივი კულტურის თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:

- როგორ ზემოქმედებს ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე მის ირგვლივ არსებული სამართლებრივი გარემო?
- რამდენად გულისხმობს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრება და შესაბამისი ქმედება სამართლებრივ კულტურას?
- როგორ უკავშირდება სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების სისტემა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები დემოკრატიის პრინციპებს?
- როგორ უკავშირდება სამართლებრივი კულტურა დემოკრატიულ კულტურას?
- როგორ ხდება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირება და ლობირება სამართლებრივ სახელმწიფოში?

- რატომ არის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, ინსტიტუციებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა მართლწესრიგისა და კანონის უზენაესობის დაცვისთვის?
- როგორ უკავშირდება სამართლებრივი კულტურა მდგრადი განვითარების პრინციპებს?

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4)
დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)
სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4)
მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც საზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4)	• ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; • ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას; • სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; • ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.
დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)	• ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით; • ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; • დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.
სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4)	• დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით,

	ადვოკატურებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება; • სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.
მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)	• რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს <i>(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).</i>

საკითხები - წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

საკვანძო შეკითხვები გამოკვეთს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

საკითხი	საკვანძო შეკითხვა	კომპლექსური დავალების იდეა
1. სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი	როგორია დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება და რა გავლენას ახდენს ის პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებაზე?	ილიას წერილის გააზრება და თანამედროვე საზოგადოების სამართლებრივ ცნობიერებასთან დაკავშირება, პრევენტაციის მომზადება.
2. დანაშაული და მართლმსაჯულება	როგორ ავსახო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმაში სამართალდარღვევების პრევენციის ღონისძიებები და მართლწესრიგის მნიშვნელობა პიროვნებისა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში?	ნიუ იორკის 80-იანი წლების სიტუაციის გააზრება, პრობლემების იდენტიფიცირება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმის შედგენა.

3. ადამიანის უფლებები და სამართლებრივი პასუხისმგებლობები	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს საქმის შესწავლის საფუძველზე როგორ გამოვკვეთო და აღვწერო სტატიაში/პრეზენტაციაში საქართველოში აქტუალური საკითხი ისე, რომ შევძლო საზოგადოების დაფიქრება და პრევენციულ ზომებში მათი მხრიდან აქტიური ჩართულობის წახალისება?	ევროპული სასამართლოს საქმის განხილვის საფუძველზე სტატიის, ან პრეზენტაციის მომზადება სასკოლო საზოგადოების წინაშე წარსადგენად, ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოსაფხვრელად პიროვნებისა და საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობების გააზრება.
4. სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოება და მდგრადი განვითარების მიზნები	როგორ გამოვკვეთო და აღვწერო ესეში/პრეზენტაციაში ქვეყნის კანონის უზენაესობის ინდექსსა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის კავშირი და ურთიერთგავლენები. ასევე, ის პოზიტიური გავლენები, რასაც მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოება ახდენს ადამიანზე?	ესე ან/და პრეზენტაციის მომზადება საქართველოს კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსისა და მდგრადი განვითარების მიზნების, მისი მიღწევის შესაძლებლობებს შორის ურთიერთგავლენაზე, მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის პოზიტიურ განწყობებზე.

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით: საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოვკვეთა და გაანალიზება, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას; დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების კრილში; სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის მოქალაქის პერსონალური როლისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა; მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებული პრობლემებზე და დილემებზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

2. თემატური მატრიცა

თემა 2. სამართლებრივი კულტურა საათების სავარაუდო რაოდენობა - 40	
თემა გულისხმობს სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან ასპექტების (კანონმორჩილება, ადამიანის უფლებების აღიარება) შესწავლას, კონკრეტული მექანიზმების, მაგალითებისა და დილემების განხილვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება სამართალზე დაფუძნებული ბერკეტების ამოქმედებით კონკრეტული პრობლემების გადაჭრა (მაგალითად, ძალადობის პრევენცია, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა).	
თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: 1. სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი 2. დანაშაული და მართლმსაჯულება 3. ადამიანის უფლებები და სამართლებრივი პასუხისმგებლობები 4. სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოება და მდგრადი განვითარების მიზნები	
გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 1
სამიზნე ცნება - საზოგადოება (მოქ.საშ.1, 2, 4) ქვეცნება- პიროვნება და საზოგადოება, დემოკრატიის პრინციპები.	საკითხი- სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი ქვესაკითხი - სამართლებრივი სახელმწიფო; სამართლის უზენაესობა. საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები როგორია დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება და რა გავლენას ახდენს ის პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებაზე?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4) 1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს აქვს სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;	კომპლექსური დავალება გაეცანით ილია ჭავჭავაძის წერილს კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ. იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია მოცემულ წერილში წამოჭრილი საკითხები დღეს, რა შეიცვალა და რა დარჩა პრობლემად მე-19 საუკუნიდან დღემდე. თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოხმობით და პრეზენტაციის სახით წარმოადგინეთ კლასში. წყარო: ჭავჭავაძე, ი., „კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედი“. მოპოვებულია ილია ჭავჭავაძე -

3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუტებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; 4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ჰარმონიული ურთიერთობას.	<u>საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (gdi.ge) ; https://t.ly/KX55</u> ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: - როგორ შესაძლებლობებს ქმნის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის? (საზოგადოება 1, 2) - რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობას, პიროვნების მიერ საკუთარი აზრის თამამად გამოხატვის უნარს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში? (საზოგადოება 3, 4)
--	--

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გააქტიურება

კითხვები:

- გაიხსენეთ, რა მახასიათებლები აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოს?
- თქვენი აზრით, რომელი ღირებულებებითა და უნარებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი მოქალაქეები დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის?
- რომელი დოკუმენტი უდევს საფუძვლად თქვენს სკოლას, რითაც იმართება სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი?
- რამდენად მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტში წარმოდგენილი წესების დაცვა სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მასწავლებელი მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?
- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რომელი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი. ასევე ეხმარება დავალების თითოეული ნაბიჯის განსაზღვრასა და გააზრებაში, ფასილიტაციას უწევს მოსწავლეებს დავალების შესრულების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ მოვამზადოთ ეფექტური პრეზენტაცია?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ დავალების შესასრულებლად?
- როგორ გამოვკვეთო ძირითადი სათქმელი?

- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?
- რამდენადაა განვითარებული ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება?
- რამდენად იციან, იცავენ კანონებს და აღიარებენ სამართლის უზენაესობას ჩვენ გარშემო საზოგადოების წევრები?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ დაძლეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებს § 1 - ში და § 2 - ში მოცემულ ინფორმაციას, აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას. გთავაზობთ სარეკომენდაციო აქტივობებს.

ნაბიჯი 1. როგორ შესაძლებლობებს ქმნის სამართლებრივი და დემოკრატიულ სახელმწიფო პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში „სამართლებრივი კულტურის“ გასააზრებლად რეკომენდაცია მასწავლებელს:

დაწერეთ დაფაზე სიტყვები: „სამართლებრივი კულტურა“. მოსწავლეებს დაავალეთ განმარტონ, როგორ ესმით ეს ტერმინი. მათი პასუხები დაფაზე ჩამოწერეთ. პასუხები, შეიძლება, ერთმანეთისგან განსხვავებული და არადამაჯერებელი იყოს, მაგრამ შეეცადეთ განაზოგადოთ ისინი.

მოსწავლეებს აუხსენით, რომ სამართლებრივ კულტურაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონები, არამედ – მათი როლიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქტივობა 2. დისკუსია თემაზე: „როგორ მესმის სამართლებრივი კულტურის არსი“ რეკომენდაცია მასწავლებელს:

სადისკუსიო თემის სათაური სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ფორმულირებული:

ა) ნიშნავს თუ არა სამართლებრივი კულტურა მხოლოდ კანონის მორჩილებას?

ბ) ეწინააღმდეგება თუ არა ერთმანეთს სამართლებრივი კულტურა და ტრადიცია?

გ) შესაძლოა თუ არა არსებობდეს სამართლებრივი კულტურა ტოტალიტარულ სახელმწიფოში? და სხვა.

დისკუსიის დასკვნით ნაწილში მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ ყველა ადამიანს გააჩნია უფლებები/თავისუფლებები და მოვალეობები/პასუხისმგებლობები. სამართლებრივი კულტურა ქვეყანაში მხოლოდ ორივე მათგანის (ე.ი მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების) რეალიზების შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. სამართლებრივი კულტურის ტრადიციის მქონე საზოგადოების წევრად, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება პიროვნება, რომელიც კანონებსა და ადამიანის სხვა უფლებებს უგულებელყოფს; თუმცა იგივე იმ მოქალაქეზეც

ითქმის, რომელიც მხოლოდ კანონისადმი მორჩილებით შემოიფარგლება და ამ კანონების საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავს.

აქტივობა 3. ჯგუფური მუშაობა: „წარმოსახვითი სახელმწიფოს შექმნა“ (მოსწ. სახ. გვ.10)

კითხვები და დავალებები:

წარმოდგინეთ, რომ თქვენ, დიდი ჯგუფი ახალგაზრდებისა, მოხვდით უკაცრიელ კუნძულზე და ხვდებით, რომ მოგიწევთ იქ დიდხანს ცხოვრება. იმისთვის, რომ შეძლოთ მშვიდობიანად თანაარსებობა, საჭიროა შექმნათ მინი სახელმწიფოს მოდელი.

როგორი ტიპის „სახელმწიფოში“ გსურთ ცხოვრება? რითი დაიწყებთ?

დაიყავით ჯგუფებად და ჩამოწერეთ ის უმთავრესი წესები, რომელთა დაცვასაც აუცილებლად მიიჩნევთ „თქვენს სახელმწიფოში“.

თითოეულმა ჯგუფმა თქვენი მოსაზრებები გააცანით ერთმანეთს, დააკვირდით, რა ემთხვევა და რაა განსხვავებული, შეჯერდით და გადაიტანეთ დიდ ფორმატზე ის წესები, რომლებიც ყველასთვის მისაღები იქნება. ამით შექმნით თქვენი წარმოსახვითი ქვეყნის კონსტიტუციას, რომელშიც ასახავთ სახელმწიფოს წყობას, ადამიანის უფლებებს.

შეჯამების დროს ისაუბრეთ:

- რატომ შეარჩიეთ ეს წესები/კანონები?
- რამდენად უზრუნველყოფს თქვენ მიერ შედგენილი „კონსტიტუცია“ სამართლებრივ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

რესურსი: აქტივობისას მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ვთხოვოთ გაიხსენონ ლიტერატურული ნაწარმოებები, ფილმები, (მაგ., შეიძლება შევთავაზოთ უილიამ გოლდინგის წიგნი „ბუზთა ბატონი“; „საოცარი ისტორია- როგორ მოახერხეს გადარჩენა მოზარდებმა უკაცრიელ კუნძულზე ერთი წლის განმავლობაში“, 2022, მოპოვებულია <https://rb.gy/ixzjja>)

აქტივობა 4. დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების განსაზღვრა სქემის საშუალებით (მოსწ. სახ. გვ. 11)

კითხვები და დავალებები:

- გაიხსენეთ სახელმწიფო ხელისუფლების რომელი შტო ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას? როგორია მისი შექმნის წესი? რა ფუნქციები და უფლებამოსილებები გააჩნია ამ ორგანოს?
- რა ფუნქციები გააჩნია აღმასრულებელ ხელისუფლებას? როგორ არის დაკავშირებული ეს ორი - საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთთან?
- როგორ ფიქრობთ, რა არის სასამართლო ხელისუფლების დანიშნულება?

თქვენი მოსაზრებები გადაიტანეთ ცხრილში და გაუზიარეთ კლასს.

საკანონმდებლო ხელისუფლება	აღმასრულებელი ხელისუფლება	სასამართლო ხელისუფლება

აქტივობა 5. შემთხვევის განხილვა: „აუგუსტო პინოჩეტის რეჟიმი“ (მოსწ. სახ. გვ. 13)

კითხვები და დავალებები:

გაეცანით ან მოიძიეთ სხვა წყაროებიდან აუგუსტო პინოჩეტის შესახებ ინფორმაცია და იმსჯელეთ, მისი რომელი ქმედებები ეწინააღმდეგება ჩილეს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებას?

რა ნაბიჯები გადაიდგა პინოჩეტის მმართველობის პერიოდში ჩილეს დემოკრატიული და ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით?

როგორია პიროვნების ღირებულებები, მოთხოვნები და სოციალური ურთიერთობები მსგავსი რეჟიმის პირობებში?

რესურსი:

- წყარო: თვალვადე, რ., „არანაირი პატივისცემა პინოჩეტს“. 2016. მოპოვებულია <https://cutt.ly/gK8hE95>
- ჩხიკვაძე, ა., „ჩილე: ორმოცი წელი გადატრიალებიდან“. 2013. მოპოვებულია <https://tabula.ge/ge/news/558367-chile-ormotsi-celi-gadatrialebidan>

აქტივობა 6. შემთხვევის განხილვა: „ალექსეი ნავალნის შემთხვევა“ (მოსწ. სახ. გვ. 14)

კითხვები და დავალები:

გაეცანით მოცემულ ინფორმაციას.

- როგორ ფიქრობთ, ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, როგორია სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა რუსეთში?
- რამდენად შეესაბამება სამოქალაქო აქტივისტებისადმი რუსეთის ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება და მედიაზე კონტროლი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას?

რესურსი:

- წყარო: „რუსეთი ადამიანის უფლებათა 2020 წლის ანგარიშში“. 2021. მოპოვებულია <https://editorials.voa.gov/a/human-rights-report-russia-2020/5858838.html>

აქტივობა 7. პრობლემების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება (მოსწ. სახ. გვ. 15)

დავალება: წარმოიდგინეთ, რომ ხართ ევროსაბჭოს წარმომადგენელი საქართველოში და თვალყურს ადევნებთ ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციების შესრულების საკითხს. რომელ პრობლემებს გამოკვეთდით თანამედროვე საქართველოში და როგორ რეკომენდაციებს მისცემდით საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას მათ გამოსასწორებლად?

რესურსი:

- წყარო: ევროპის საბჭო. მოპოვებულია [https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history#\[%228043653%22:\[0\],%228058500%22:\[1\]\]](https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history#[%228043653%22:[0],%228058500%22:[1]])
- ადამიანთა უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლები.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

დავალება ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, გაიხსენოს/გაეცნოს ევროპის საბჭოს როლს და ადამიანის უფლებათა კონვენციას, მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო უნარების გასავითარებლად. მოსწავლე ეჩვევა პრობლემების იდენტიფიცირებასა და საჭირო რეკომენდაციების ჩამოყალიბებას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენასა და სხვა ფუნქციური უნარების გამოყენებას. (ფუნქციურ უნარებთან დაკავშირებით რეკომენდაციები იხილეთ მე-3 თავში.)

აქტივობა 8. შემთხვევის განხილვა: „საბრალონი“ ტფილისში (მოსწ. სახ. გვ. 16)

კითხვები:

- გაეცანით XIX საუკუნის ბოლოს თბილისში მომხდარ ამბავს.
- როგორ შეაფასებდით ვანოსადმი, ერთის მხრივ, საზოგადოების და, მეორეს მხრივ, პოლიციელის დამოკიდებულებას?
- როგორ ფიქრობთ, რით იყო განპირობებული მათი პოზიციის განსხვავებულობა?
- დღეს როგორი რეაგირება იქნებოდა სამართლიანი „ბატონის“ შვილის ანალოგიურ ქმედებაზე?
- ვინ დაიცავდა უდანაშაულო ვანოს უფლებებს?

რესურსი:

- წყარო: ჭიშკელი, გ., „საბრალონი“ ტფილისში.2022. მოპოვებულია <https://forbes.ge/sabraloni-tphilisshi/>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

დავალბა ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, გაიხსენონ ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მე-19 საუკუნეში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა შეადარონ დღევანდელს, მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო უნარების გასავითარებლად. მოსწავლე ეჩვევა პრობლემების, დილემების გადაჭრის გზების ძიებასა და საჭირო ქმედებების დაგეგმვას, კრიტიკული, ანალიტიკური და სხვა ფუნქციური უნარების გამოყენებას.

აქტივობა 9. შემთხვევის განხილვა: „ლენინოვკა - დავიწყებული ბოშური სოფელი“ (მოსწ. სახ. გვ. 17-18)

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით ლენინოვკაში მცხოვრები ბოშების 2008 წლის მდგომარეობას. მოიძიეთ ინფორმაცია და შეადარეთ მათ დღევანდელ ყოფას?
- იმსჯელეთ საქართველოში მცხოვრები ბოშების ან სხვა კულტურული უმცირესობების პრობლემებზე და მათი მოქალაქეობის საკითხზე.
- გაიხსენეთ რა უფლებები გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს და დაუკავშირეთ თქვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემებს.
- ჩამოაყალიბეთ რეკომენდაციები, რითაც მიმართავდით საქართველოს პარლამენტს, თუ რა სამართლებრივი ნორმების ასახვა საჭირო კანონმდებლობაში, რომ ამ ადამიანებმა შეძლონ თავისი უფლებების განხორციელება და თავი იგრძნონ, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს სრულუფლებიანმა მოქალაქეებმა.

რესურსი:

- წყარო: ტლაშაძე, ნ., „ლენინოვკა - დავიწყებული ბოშური სოფელი“. 2008. მოპოვებულია <http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=7101&lang=geo>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით მასწავლებელმა შეიძლება დამატებით გამოიყენოს შემდეგი ინფორმაცია და აქტივობა.

„დღეს ლენინოვკას ჭოეთი ჰქვია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ვკითხულობთ: „დაგეგმილია სოფელ ჭოეთში საბავშვო ბაღის და სკოლის აღსაზრდელებისთვის განკუთვნილ ადგილზე მოსაცდელის და საუბნო სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა“. დაუკავშირდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და გაარკვიეთ, კიდევ რა შეიცვალა სოფელში, გაუმჯობესდა თუ არა ბოშების სოციალური მდგომარეობა. (წყარო: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი, 2020. მოპოვებულია https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z3SV.pdf)“

აქტივობა 10. ცოტა რამ ისტორიიდან: ანტიკური ავტორების მოსაზრებების გაცნობა/გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 20)

დავალბა:

- გაეცანით ტექსტს და ჩაინიშნეთ ბერძენ ფილოსოფოსთა მოსაზრებებიდან რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის.

აქტივობა 11. დისკუსია თემაზე:

დღეს ჩვენს ქვეყანაში რამდენად არის შექმნილი გარემო ადამიანის განვითარებისათვის, საკუთარი თავის რეალიზებისა და კეთილდღეობის მისაღწევად?

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოყვანით.

ნაბიჯი 2. რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობას, პიროვნების მიერ საკუთარი აზრის თამამად გამოხატვის უნარს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში?

აქტივობა 12. ალექსის ნაამბობის გაცნობა და პრობლემების გამოკვეთა (მოსწ. სახ. გვ. 21)

კითხვები:

- რა პრობლემები იკვეთება ალექსის ნაამბობში?
- რამდენად მნიშვნელოვანია იმ გარემოში, სადაც ადამიანს საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად უწევს ცხოვრება თუ მოღვაწეობა, არსებობდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები, კანონები და ყოველი მათგანი იცავდეს მას?
- რა შედეგები მოჰყვა ალექსის სკოლაში მომხდარ ინციდენტს?
- განაზოგადეთ და ახსენით - რა მოჰყვება სახელმწიფოებრივ დონეზე კანონის არ ცოდნას/უგულებელყოფას?

აქტივობა 13. შემთხვევის განხილვა: „ფხენიანმა უცხოელებს საკუთარი მობილური ტელეფონების ხმარების უფლება მისცა ქვეყნის შიგნით“ (მოსწ. სახ. გვ. 23)

კითხვები:

- ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული რომელი უფლებები ილახებოდა, როდესაც ჩრდილოეთ კორეის კანონმდებლობის მიხედვით ჩასული უცხოელები ტელეფონს საზღვარზე ტოვებდნენ?
- რამდენად შესაბამებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ეს კონკრეტული შემთხვევა?

რესურსი:

- წყარო: „ჩრდილოეთ კორეის უპრეცედენტო გადაწყვეტილება“. 2013. მოპოვებულია <https://www.amerikiskhma.com/a/north-korea-reform/1613035.html>
- დოკუმენტური ფილმი „ფხენიანი ერთობა“ <https://1tv.ge/video/dosie-fkheniani-ertoba/>

აქტივობა 14. ჯგუფური მუშაობა ვენის დიაგრამის გამოყენებით (მოსწ. სახ. გვ. 24)

დავალება:

სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეადარეთ ნაცისტური გერმანიისა და ჩრდილოეთ კორეის კანონმდებლობაში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა. რა მსგავსებას ხედავთ ამ ორი ქვეყნის საკანონმდებლო ნორმებში?

რესურსი:

წყარო: ფრანკი, ა., „ანა ფრანკის დღიური“, 2011. გამომცემლობა „ნაკადული“. 1988. მოპოვებულია <https://t.ly/6Xbq>

აქტივობა 15. ფილმის განხილვა

ნახეთ 2008 წელს გადაღებული გერმანული ფილმი „ტალა“, რეჟისორ დენის განსელი.

ფილმის ნახვის შემდეგ მოაწყვეთ განხილვა. (სასურველია აქტივობა ფსიქოლოგის ჩართულობით განხორციელდეს).

კითხვები:

- როგორი ადამიანები აღზევდებიან და როგორები ექცევიან ზემოქმედების ქვეშ?
- დისკრიმინაციული საკანონმდებლო ნორმების არსებობა როგორ აისახება კაცობრიობის განვითარებაზე?
- როგორი ადამიანები ქმნიან თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოს?

აქტივობა 16. სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითის განხილვა (მოსწ. სახ. გვ. 26)

კითხვები:

- თქვენი აზრით, რისი თქმა სურს 14 აპრილის აქციის მონაწილე ქალბატონ მერი ტორაძეს შემდეგი სიტყვებით: „მაშინ, 18 წლისამ პირველად ვიგრძენი თავი მოქალაქედ“.
- რა მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების სიფხიზლეს და საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის განხორციელებას კანონშემოქმედებით პროცესზე?

რესურსი:

- წყარო: ხალიანი, თ., მაღალდაძე, ე. ქართული ენის დასაცავად“.2013. მოპოვებულია <http://liberali.ge/articles/view/3107/qartuli-enis-dasatsavad?fbclid=IwAR0I4l8EePRRy3eZKTD2tKv-wEYHSSStB6emZWl5iBNqbXzeqozzmnlgjIU>

აქტივობა 17. კვლევის ჩატარება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის გასარკვევად. (მოსწ. სახ. გვ. 27)

კითხვები:

- რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის პროცესებთან დაკავშირებით?
- რამდენად იციან მოქალაქეებმა, რომ მათაც აქვთ უფლება და საშუალება ჩაერთონ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კანონის განხილვაში, გამოხატონ თავიანთი პოზიცია.

რესურსი: კვლევის შედეგების ამსახველი ცხრილი

საზოგადოების ინფორმირებულობა	რაოდენობა	ინფორმაციის სახე/ტიპი
ინფორმირებული		
არაინფორმირებული		
დასკვნა		
რეკომენდაცია		

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=51>
- „ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველო მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა გახდა“,2022. მოპოვებულია <https://www.mof.ge/News/10132>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

დავალბა ეხმარება მოსწავლეებს, ერთი მხრივ, გაიაზრონ მოქალაქეობრივი უფლებები, მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო ცოდნისა და უნარების გასავითარებლად. მოსწავლე პრაქტიკულ გამოცდილებას იღებს კვლევის დაგეგმვა, ჩატარებასა და მიღებული შედეგების განზოგადებაში, საკითხის შესწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციას უკავშირებს კონკრეტულ პრაქტიკულ გამოცდილებას და აყალიბებს ვარაუდებსა და დასკვნებს, გამოკვეთილი გამოწვევების გასამკლავებლად სახავს სხვადასხვა ალტერნატიულ შესაძლებლობებს. მაგალითად, კლასის შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა (10-20 პირი), ასევე ცალკე გამოიკვეთოს რესპონდენტების ასაკი. შესაძლოა, მოსწავლეებისთვის საინტერესო აღმოჩნდეს ერთი ან რამდენიმე თაობის მოსაზრების შესწავლა ან ასევე, საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს გენდერულ ჭრილში ანალიზი. შესაბამისად გასათვალისწინებელია, რომ მოცემულმა სქემამ ჩარჩოში არ მოაქციოს მოსწავლეს და შედეგების თავისუფალ ინტერპრეტაციის საშუალებას

მივცეთ. მოსწავლემ შეიძლება დაამატოს კვლევის რესპონდენტების დემოგრაფიული მონაცემები, ასაკი, სქესი, მოახდინოს ასაკობრივი ჯგუფების შედარება და ა.შ.

აქტივობა 18. ცოტა რამ ისტორიიდან: თამარის ეპოქის გახსენება/გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 28-29)
დავალება:

როგორ შეაფასებდით, ერთი მხრივ, ყუთლუ-არსლანის იდეას და, მეორე მხრივ, თამარ მეფის პოზიციასა და გადაწყვეტილებას თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლის პოზიციიდან?

რესურსი:

- წყარო: ჯავახიშვილი, ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1929. მოპოვებულია <http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation>

აქტივობა 19. მოსწავლეთა წყვილებში სურათების დასათაურება (მოსწ. სახ. გვ. 29)

კითხვები და დავალებები:

წყვილებში შეარჩიეთ სურათი, დაასათაურეთ და კლასის წინაშე ახსენით მასზე ასახული სიტუაციის თქვენეული აღქმა შემდეგი თანმიმდევრობით:

„მე ვხედავ...“ „მე ვგრძნობ...“ „ეს მე მაგონებს...“

- სურათებზე ნაჩვენებ სიტუაციებში ადამიანის რომელი უფლებების დარღვევას აქვს ადგილი და ყოველივე ეს რამდენად შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმებს.
- აქვს თუ არა ადგილი ამგვარ ფაქტებს ჩვენს რეალობაში?
(გაიხსენეთ ნანახი, განცდილი, მოსმენილი და მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები)

ეტაპი III - კომპლექსური დავალების წარდგენა

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

მასწავლებელი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, ყოველი აქტივობისა და პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას ზეპირად ან წერილობით. (განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები იხილეთ მე-3 თავში.)

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები:

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და გაანალიზება, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას;

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 2
სამიზნე ცნება - დემოკრატია (მოქ.საშ.1,2,3,4) ქვეცნება- დემოკრატიის პრინციპები.	საკითხი- დანაშაული და მართლმსაჯულება ქვესაკითხი- საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი; სამართალდარღვევა და კანონი. საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები როგორ ავსახო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმაში სამართალდარღვევების პრევენციის ღონისძიებები და მართლწესრიგის მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4) - ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით; - ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; - დემოკრატიულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; - დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.	კომპლექსური დავალება გაეცანით სტატიას, სადაც აღწერილია ნიუ-იორკში 80-იან წლებში არსებული სიტუაცია, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. გამოკვეთეთ თქვენ ირგვლივ არსებული საზოგადოებრივი მართლწესრიგის პრობლემები, შეარჩიეთ პოლიციის უფროსის ან ქალაქის მერის როლი და არჩეული პოზიციიდან შეიმუშავეთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმა. გეგმაში ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები, როგორ შეუწყობთ ხელს სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებას თქვენს ქალაქში/დაბაში/ სოფელში, რას მოიმოქმედებდით არსებული სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით. დავალება კლასის წინაშე წარმოადგინეთ თქვენთვის მისაღები ფორმით: დიდი ფორმატის ფურცელზე, ელექტრონული პრეზენტაციის თუ წერილობითი ტექსტის საშუალებით. წყარო: კვრაცხელია, თ., „ჩამტვრეული ფანჯრების თეორია“. 2016. მოპოვებულია https://t.ly/5hWb ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: - ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა საზოგადოებრივი მართლწესრიგის უგულებელყოფით? (დემოკრატია. 2) - რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას დანაშაულთან ბრძოლასა და მართლმსაჯულების განხორციელებაში? რომელი სამართლებრივი დოკუმენტები უზრუნველყოფენ მათ დაცვას? (დემოკრატია.1, 2, 3) - რა როლს თამაშობს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება) დამკვიდრებასა და განვითარებაში? (დემოკრატია. 4)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის (ცხოვრებისეული გამოცდილების) გააქტიურება

კითხვები:

- თუ დაგირღვევიათ რაიმე წესები, კანონები?
- რა ზიანი მოუტანია ამ დარღვევებს პირადად თქვენთვის ან სხვა ადამიანებისთვის?
- როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფოში იყოს მართლწესრიგი?
- მართლწესრიგის არსებობაში რა როლი აქვს მოქალაქეს, საზოგადოებას და რა როლი აქვს სახელმწიფოს?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მასწავლებელი, მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?
- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რომელი შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ გეგმის დასაწერად?
- როგორ გამოვკვეთო ნაშრომში ძირითადი სათქმელი?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი, მაგალითად შეიძლება შევთავაზოთ მოცემული გეგმა, ან მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ შესაბამისი ფორმა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმა				
ქალაქის/სოფლის დასახელება		გეგმის ავტორი:		გეგმის შემუშავების თარიღი:
საზოგადოებრივი მართლწესრიგის პრობლემა;	ადამიანის რომელი უფლება/ები ირღვევა?	სამართალდაცვის პრევენციის ღონისძიება	ჩართული მხარეების პასუხისმგებლობები (ვისთან თანამშრომლობით არის შესაძლებელი პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა)	სავარაუდო შედეგი
პრობლემის აქტუალობა და მისი გადაჭრის მნიშვნელობა პიროვნებისა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში	რომელი საკანონმდებლო დოკუმენტი იცავს ამ უფლებებს?			

ცნება დემოკრატიის დასამუშავებლად მასწავლებელს შეუძლია ალტერნატიულ კომპლექსურ დავალებად განიხილოს § 5-ში მოცემული აქტივობა „იმიტირებული სასამართლო პროცესი“. დავალების პირობა იხილეთ გვ. 32.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ დამღეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა §3, § 4 და § 5-ში მოცემულ ინფორმაციას, აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა საზოგადოებრივი მართლწესრიგის უგულებელყოფით?

აქტივობა 1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ქვესაკითხთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გააქტიურება.

კითხვები:

- როგორ გარემოში ისურვებდით ცხოვრებას?
- ვინ უნდა შექმნას ეს გარემო?
- რას გულისხმობს მართლწესრიგი?
- რას ნიშნავს და რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას?

აქტივობა 2. შემთხვევის განხილვა და დისკუსია (მოსწ.სახ. გვ.34-35)

შეაფასეთ ფატიმას სიტუაცია შემდეგი კითხვების საშუალებით: რა იყო დანაშაულებრივი იმ ოთხი „მოქმედი“ კაცის საქციელში? როგორ მოიქცა იქვე მყოფი საზოგადოება? როგორ შეაფასებდით ფატიმას საქციელს? მისი მეგობრის? ადამიანის რომელი უფლების დარღვევას ხედავთ ამ სიტუაციაში?

გამართეთ დისკუსია თემაზე: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის შემსწრემ, უნდა დარეკოს შესაბამის სამსახურში (112) თუ უნდა აარიდოს თავი? დაასაბუთეთ ტქვენი პოზიცია.

რეკომენდაცია მასწავლებლებს: მასწავლებელს შეუძლია ჯგუფებად დაყოს მოსწავლეები პოზიციების მიხედვით და შესთავაზოს პოზიციების გასამყარებელი არგუმენტების შემუშავება. თავად კი დაფაზე ასახოს გამოთქმული მოსაზრებები და შეაჯამოს მსჯელობა. შემდეგ გააცნოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამონარიდი და ფატიმას მიერ აღწერილი ამბის მიხედვით მოსწავლეებს დაავალოს განსაზღვრონ იმ ოთხი კაცის დანაშაულის სიმძიმე და ამის გათვალისწინებით, რა ოდენობის ჯარიმას დააკისრებდნენ მათ?

აქტივობა 3. ვანდალიზმის შემთხვევების გააზრება „კი“ მაგალითების მოშველიებით. (მოსწ.სახ. გვ.36-37)

კითხვები:

- როგორ შეაფასებდით ახალგაზრდების მოქმედებას?
- როგორ შეიძლება დაიცვას სახელმწიფომ საზოგადოებრივი ქონება ვანდალიზმისგან?
- რა როლი აქვს საზოგადოებას ასეთი ქმედებების პრევენციაში?
- რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქემ იცოდეს საკუთარი პასუხისმგებლობების შესახებ?
- თქვენი აზრით, რა გზებითაა შესაძლებელი საზოგადოების თვითშეგნების ამაღლება?

ჩამოწერეთ რეკომენდაციები/ შესაძლო ქმედებები.

აქტივობა 4. შემთხვევების განხილვა (მოსწ.სახ. გვ.37-39) და საკითხის დამუშავება ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შემდეგი კითხვებით:

- როგორ ფიქრობთ, რა ზიანს აყენებს საზოგადოებას ცალკეული პირების დანაშაულებრივი ქმედებები?
- რამდენად აუცილებელია სამართალდამცავი სისტემის არსებობა სახელმწიფოში?
- რა იცით სამართალდამცავი ორგანოებისა და მათი ფუნქციების შესახებ?
- რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქემ იცოდეს პოლიციის უფლება-მოვალეობები?
- რაზე დამოკიდებული პოლიციის ეფექტური საქმიანობა? თქვენი აზრი დაასაბუთეთ.

რესურსი: „ორთაჭალაში, TBC ბანკის ფილიალში ცეცხლმოკიდებული ბოთლი შეაგდეს“. 2018. მოპოვებულია <https://tabula.ge/ge/news/612685-ortachalashi-tbc-bankis-pilialshi>

აქტივობა 5. პრევენციული ზომების გააზრება მაორგანიზებელი სქემის გამოყენებით (მოსწ.სახ. გვ.40-42)

კითხვები და დავალებები:

- როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურებიან ვიდეოკამერები?
- რომელი სამართალდარღვევების აღმოჩენას ეხმარება ვიდეოკამერები?
- რამდენად უწყობს ხელს ამგვარი მიდგომა ძალადობის აღმოფხვრას?

წყვილებში ჩამოთვალეთ ის დანაშაულები, რომლის გახსნაშიც დიდ როლს სწორედ ვიდეოკამერები თამაშობს. **იმსჯელეთ**, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად მათი საშუალებით მიღებული ინფორმაციის გამოყენება.

გაიხსენეთ ძალადობის მაგალითები და მათ საფუძველზე განსაზღვრეთ ძალადობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ჩამოაყალიბეთ თქვენი რეკომენდაციები ასეთი ფაქტების შემცირებისთვის. ხაზი გაუსვით საზოგადოების როლს ძალადობის აღკვეთის საქმეში და სხვა პრევენციულ საშუალებებს. თქვენი მოსაზრებები ჩამოაყალიბეთ მაორგანიზებელი სქემის გამოყენებით.

რესურსი: მაორგანიზებელი სქემა

მიზეზი	შედეგი	რეკომენდაცია

- წყარო: ანანიძე, ჯ. „ელექტრონულ სამაჯურს მოძალადეებსა და მსხვერპლებს პირველი სექტემბრიდან გაუკეთებენ“. 2020. მოპოვებულია <https://batumelebi.netgazeti.ge/news/296902/>

აქტივობა 6. დისკუსია თემაზე: ოჯახში ძალადობის ფაქტი უნდა აცნობოს თუ არა სამართალდამცავ ორგანოს პირმა, რომელიც შემსწრეა ან იცის ამის შესახებ? თქვენი პოზიცია გამოხატეთ არგუმენტირებული მსჯელობით.

აქტივობა 7. შემთხვევის განხილვა (მოსწ.სახ. გვ. 42) ცოდნის კონსტრუირებისკენ მიმართული შეკითხვების საშუალებით:

- თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეული ადამიანის განვითარებაზე გავლენას ახდენს ის გარემო, რომელშიც მას უწევს ცხოვრება, როგორ ფიქრობთ, გარდა სამართალდარღვევისა, რა მორალური ზიანის მომტანია ასეთი დანაშაულებრივი ქმედებები საზოგადოებისათვის?
- რამდენად ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან პიროვნებას კანონების არცოდნა?
- სადამდე შეიძლება მივიდეს სახელმწიფო, თუ სამართალდამცველებმა ბოროტად გამოიყენეს თავიანთი უფლებები და დამკვიდრდა მათი დაუსჯელობა.
- ვისი ვალია დაიცვას სამართლის უზენაესობა?

რესურსი:

- წყარო: „შსს: დავაკავეთ პირი, რომელმაც გორში ტაძრის სანთლის და შესაწირავის 2 ყუთიდან ფული მოიპარა“. 2022. მოპოვებულია <https://tabula.ge/ge/news/687882-shss-davakavet-piri-romelmats-gorshi-tadzris>

აქტივობა 8. შემთხვევების განხილვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხის გასააზრებლად (მოსწ.სახ. გვ.43-44)

იმსჯელეთ: საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული რომელი უფლება დაირღვა თამარ გიგაურთან მიმართებით და რომელი უფლება ვაჟა გაფრინდაშვილთან მიმართებით.

შეაფასეთ ვაჟა გაფრინდაშვილის ინიციატივა. რას ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში რომელი სახელმწიფო სტრუქტურაა პასუხისმგებელი მოქალაქის უსაფრთხოებაზე? რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას მთელ დედამიწაზე მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

რესურსი:

- წყარო: ფისაძე, ნ., „ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტები დღეიდან გაიხსნა“. 2022. მოპოვებულია <https://ltv.ge/news/sus-is-informacii-okupirebuli-ckhinvalidis-regionis-mimartulebit-e-w-gadasasvleli-punqtebi-dgheidan-gaikhna/>
- წყარო: „რუსი სამხედროების მიერ დაკავებული ქართველი ექიმი ბრალს არ აღიარებს“. 2019. მოპოვებულია <https://reginfo.ge/human-rights/item/17343-rusi-samxedroebis-mier-axalgorshi-dakavebuli-gartveli-eqimi-brals-ar-agiarebs>
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება: <https://ssg.gov.ge/news/567/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba>

ნაბიჯი 2. რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას დანაშაულთან ბრძოლასა და მართლმსაჯულების განხორციელებაში? რომელი სამართლებრივი დოკუმენტები უზრუნველყოფენ მათ დაცვას?

აქტივობა 10. საქართველოში საგზაო მოძრაობის კულტურის შეფასება. (მოსწ.სახ.გვ. 4 გვ.46) **კითხვები და დავალებები:**

თქვენი საცხოვრებელი ადგილის, სკოლის მიმდებარედ 2-3 კვირის მანძილზე დააკვირდით საგზაო მოძრაობას და გამოკვეთეთ დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმები.

გადაიტანეთ სქემა რვეულში და მონიშნეთ პირველ სვეტში მითითებული ქმედებებიდან რომელს რა სიხშირით აწყდებით.

იმსჯელეთ: რა საფრთხეს უქმნის საზოგადოებას თითოეული ასეთი ქმედება. რამდენად მნიშვნელოვანია წესების/კანონების ცოდნა და დაცვა. რა კავშირშია თითოეული ადამიანის ქმედება მთლიანად საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის ფორმირებასთან.

აქტივობა 11. სამართალდარღვევების განხილვა სტატისტიკური ინფორმაციისა და ქეისების გამოყენებით (მოსწ.სახ. გვ.48-54)

კითხვები და დავალებები:

გაეცანით სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევებს, ინფორმაციას და **იმსჯელეთ**:

- სტატისტიკის ცხრილში მოცემულ რომელ დანაშაულთან გვაქვს საქმე?
- რა უნდა სცოდნოდა თომას იმისათვის, რომ არ გამხდარიყო თაღლითობის მსხვერპლი?
- რა შეიძლება ედოს საფუძვლად ოჯახში ძალადობას, თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ამგვარ ქმედებებს არ ჰქონდეს ადგილი.
- რა შედეგები მოჰყვება მშობელთა მხრიდან ბავშვებზე ასეთი ტიპის ძალადობას? თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მშობელთა აღზრდისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს?
- რა პრობლემას უქმნის სახელმწიფოს, საზოგადოებას, გადასახადების გადახდისგან მოქალაქეების მიერ თავის არიდება? რამდენად მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა მოქალაქისთვის გადასახადების გადახდა? რა უნდა იცოდეს მოქალაქემ იმისათვის, რომ არ ჩაიდინოს დანაშაული?
- **როგორ ფიქრობთ:** ფინანსური დანაშაულის/ გადასახადების გადახდისგან თავის არიდების ფაქტების აღმოსაფხვრელად რა პრევენციული ღონისძიებების გატარებაა სასურველი როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან?
- რა პრობლემებს ქმნის სახელმწიფოში კორუფციის არსებობა? რა ღონისძიებები უნდა გატარდეს კორუფციის აღსაკვეთად ერთი მხრივ სახელმწიფოს და მეორეს მხრივ საზოგადოებისგან? რაში ხედავთ თქვენ გამოსავალს?

რესურსი:

- წყარო: 2021 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა. 2022. მოპოვებულია <https://t.ly/giGs>
- წყარო: გიორგაძე, ლ., „ბავშვები ოჯახში ძალადობის პირისპირ“. 2022. მოპოვებულია <https://www.myadvokat.ge/ka/blog/10641/bavshvebi-oxaxshi-zaladobis-pirispir>
- წყარო: „საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე ორ პირს ბრალი წარუდგინეს“, 01 ივლისი, 2022. მოპოვებულია <https://imedinews.ge/ge/samartali/255798/sagamodziebo-samsakhuris-tanamshromlebm-gansakutreb-didi-odenobit-gadasakhadistvis-tavis-aridebis-pagtze-or-pirs-brali-tsarudgines>

აქტივობა 12. კიბერბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა

კითხვები და დავალებები:

გაიხსენეთ მაგალითები კიბერბულინგთან დაკავშირებით და **იმსჯელეთ**, რა პრევენციული ზომებია საჭირო იმისთვის, რომ ამგვარი დანაშაული შემცირდეს.

კლასში შეიმუშავეთ კიბერბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად უნდა ჩანდეს მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები ერთმანეთის მიმართ, დოკუმენტი გარკვევით უნდა ასახავდეს ონლაინგარემოში მიუღებელი ქცევის კრიტერიუმებს.

რესურსი:

- წყარო: „ნეიმარის საბანკო ანგარიშიდან ჰაკერმა თანხა მოიპარა“, ინტერმედია, 13 თებერვალი, 2022 წ. მოპოვებულია <https://t.ly/a1C>

- წყარო: მენტალური ომები - კიბერბულინგი დანაშაულია, 28 ოქტომბერი, 2020, რუსთავი 2-ის ოფიციალური არხი YOUTUBE-ზე. მოპოვებულია <https://www.youtube.com/watch?v=l7erjK-idsA>

აქტივობა 13. ნარკოდანაშაულის გააზრება გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით (მოსწ.სახ. გვ.55-58)

კითხვები და დავალებები:

მცირე ჯგუფებში ჩამოაყალიბეთ ნარკოტიკული საშუალებების უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე. სქემა გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ. ჩამოწერეთ ყველა ის სოციალური პრობლემა, რომელიც ექმნება ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულ ადამიანებს პირად ცხოვრებაში.

ჯანმრთელობის პრობლემა	სოციალური პრობლემა

იმსჯელეთ რა გავლენას ახდენს ნარკომანია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და შეაფასეთ რამდენად მძიმე დანაშაულია ნარკოდანაშაული. როგორ წარმოგიდგენიათ ნარკომანიის პრევენციის გზები.

რესურსი:

- წყარო: „ნარკოტიკების მოხმარების შედეგები“, დამოკიდებულების პრევენციის სერვისი, 14 ნოემბერი, 2018 წ. მოპოვებულია <https://cutt.ly/5LEoxjo>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

აქტივობის ფარგლებში სასურველია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, როგორც წამალდამოკიდებულების უარყოფითი გავლენები ჯანმრთელობაზე, ასევე მისი სამართლებრივი მხარეები. მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ილუსტრაცია, რომელზეც ასახულია ნარკოტიკული საშუალებების მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. შესაძლებელია ინტეგრირებული გაკვეთილების ორგანიზება ბიოლოგიის საგანთან, რისთვისაც გამოგადგებათ ბმული: <http://ncp.ge/ge/aqtivoba-15-narkotikuli-sashualebebis-gavlenda-djanmrtelebaze>

აქტივობა 14. ცოტა რამ ისტორიიდან: „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის“ გაცნობა (მოსწ.სახ. გვ.59)

იმსჯელეთ: როგორი სამართალი ყოფილა XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში? რა ედო საფუძვლად ამგვარ კანონებს?

სამართლებრივი თვალსაზრისით, რომელი მუხლი მოგეწონათ ან არ მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

რესურსი:

- წყარო: მეტრეველი, გ., ქართული სამართლის ისტორია“, გამომცემლობა „მერიდიანი“, მოპოვებულია [https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_law/seminari%20N9%20\(davitashvili\).pdf?fbclid=IwAR1l1zy6sWgOlukuTwdUI1_xZbANwSY-OzRg9_O9q4bt1Hs0cmeY9Mv_1-Q](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_law/seminari%20N9%20(davitashvili).pdf?fbclid=IwAR1l1zy6sWgOlukuTwdUI1_xZbANwSY-OzRg9_O9q4bt1Hs0cmeY9Mv_1-Q)

აქტივობა 15. ცოდნის ორგანიზება სქემების საშუალებით

დავალება:

დააკვირდით ქვემოთმოცემულ სქემას და განსაზღვრეთ, სამართლის რომელი დარგის განსჯის საგანია დანაშაული და რომლის - გადაცდომა? გადაიტანეთ სქემა რვეულში და ჩაწერეთ თავისუფალ გრაფაში „დანაშაული“ ან „გადაცდომა“.

სამართლის დარგები	რეგულირების სფერო	„დანაშაული“/ „გადაცდომა“
კონსტიტუციური სამართალი	სახელმწიფოს მართვის წესი სამართლის ყველა დარგის ზოგადი საკითხების რეგულირება	დანაშაული
ადმინისტრაციული სამართალი	სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულების საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგის რეგულირება	გადაცდომა
სისხლის სამართალი	დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება, აღკვეთა, დამნაშავის დასჯა	დანაშაული
სამოქალაქო სამართალი	სამოქალაქო ურთიერთობების მოწესრიგება, პირადი, ქონებრივი, არაქონებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებისა და სხვა რეგულირება	გადაცდომა

- იმსჯელებით, რა დაბრკოლებები შეიძლება შეექმნას სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევ პირს?
- რატომ არის ნასამართლობა ხელისშემშლელი და ხშირ შემთხვევაში ამკრძალავი გარემოება დასაქმებისთვის?

მსჯელობის შემდეგ გაეცანით მოცემულ ინფორმაციას. დამატებით მოიძიე პროფესიები, საქმიანობები რომლებიც ნასამართლევ პირს უზღუდავს დასაქმების შესაძლებლობას და განავრცე ცხრილში მოცემული ჩამონათვალი. (მოსწ.სახ. გვ.61-62)

ნაბიჯი 3. რა როლს თამაშობს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება) დამკვიდრებასა და განვითარებაში?

აქტივობა 16. კითხვა-პასუხი წინარე ცოდნის გასააქტიურებლად.

საკითხის განხილვამდე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფოში იყოს მართლწესრიგი?
- მართლწესრიგის არსებობაში რა როლი აქვს მოქალაქეს, საზოგადოებას და რა როლი აქვს სახელმწიფოს?

გაიხსენეთ მაგალითები/ფაქტები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოცემული მუხლების დაცვისა და დარღვევების შესახებ ნაწახიდან (რეალური ცხოვრებიდან, ფილმებიდან, ლიტერატურიდან) და გაგონილიდან.

იმსჯელებით, რა შემთხვევაში დაარღვიეს ან დაიცვეს პიროვნების ღირსება; ვინ და როგორ ამხილა დარღვევის ფაქტი; რა მოჰყვა ამ მხილებას. რა როლი ეკისრება ასეთ დროს საზოგადოების ცნობიერებას?

რეკომენდაცია მასწავლებელს: კითხვა პასუხისა და მსჯელობის მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საზოგადოებისთვის მისაღები წესები და ამ წესებს უნდა ასრულებდეს როგორც მოქალაქე, საზოგადოება, ასევე სახელმწიფოც.

აქტივობა 17. დისკუსია

- თემა: „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას?“ (მოსწ.სახ. § 5 გვ.64-65)

გაეცანით ირინეს მონათხრობს.

არსებობს ასეთი გამოთქმა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამგვარ შემთხვევაში შეგვიძლია ამ ფრაზის არგუმენტად მოხმობა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ. თუ მიგაჩნიათ, რომ არ აქვს გამართლება პოლიციის მხრიდან ამგვარ ქმედებას, სად უნდა ეძებოთ ამაზე პასუხი?

თავად თქვენ ჩამოაყალიბეთ/ჩამოწერეთ ის ეთიკური ნორმები, რასაც ასეთ შემთხვევაში უნდა იცავდნენ სამართალდამცავები.

- თემა: „საკონსტიტუციო სასამართლო და ადამიანის უფლებები“ (მოსწ.სახ. გვ.68)
გაეცანით შემთხვევას და იმსჯელეთ საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე ადამიანის უფლებების დაცვაში.

რესურსი: [სასამართლო 112-ის გადასახად არკონსტიტუციურდნო • საკონსტიტუციო სასამართლო • Netgazeti.ge](https://www.netgazeti.ge/sasamartlom-112-ის-გადსახად-არკონსტიტუციურდნო-საკონსტიტუციო-სასამართლო-)

აქტივობა 18. ქეისის განხილვა: „ბრიტანელ ექსტრემისტს სასამართლომ დიკენსის წაკითხვა მიუსაჯა“ (მოსწ.სახ. გვ.71)

იმსჯელეთ: რატომ გამოიტანა მოსამართლემ ამგვარი განაჩენი? რამდენად ეთანხმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას? შეიძლება ლიტერატურა და ზოგადი წიგნიერება იყოს დანაშაულის პრევენციის საშუალება? რატომ?

გაიხსენეთ/წაიკითხეთ გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. როგორ წარმოუდგენია მთავარ პერსონაჟს, ვასიკო კეჟერაძეს, ქუჩაში მდგომი უსაქმურების დასჯა? როგორ ფიქრობთ, ინგლისელი მოსამართლისა და ვასიკო კეჟერაძის აზრით, რა არის ადამიანის დამნაშავედ და უსაქმურად ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი?

რესურსი:

- წყარო: „ბრიტანელ ექსტრემისტს სასამართლომ დიკენსის წაკითხვა მიუსაჯა“, ინტერნეტგაზეთი „ლიბერალი“, სტატიები, 06 სექტემბერი 2021, მოპოვებულია <http://liberali.ge/articles/view/46950/britanel-eqstremists-sasamartlom-dikensis-tsakitkhva-miusaja>

აქტივობა 19. შემთხვევების განხილვა-ანალიზი (მოსწ.სახ. გვ.72-73)

კითხვები და დავალებები:

- გაიხსენეთ, რა იცით ნაფიც მსაჯულებზე.
- როგორ ფიქრობთ, რატომ ენიჭება ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებას ასეთი დიდი მნიშვნელობა?

რესურსი:

- წყარო: „ჯონი დეპი და ამბერ ჰერდი: გახმაურებული ვარსკვლავური დავის სრული ისტორია“, ინტერნეტგაზეთი „ტაბულა“, 3 მაისი, 2022, მოპოვებულია <https://tabula.ge/ge/news/685457-joni-depi-vs-amber-herdi-gakhmaurebuli>
- წყარო: ანანიძე, ჯაბა, „დაზარალებული დაილუპა – ნაფიცმა მსაჯულებმა ბათუმში ბრალდებული გაამართლეს“, ინტერნეტგაზეთი „ბათუმელები“, 28.03.2022, მოპოვებულია <https://batumelebi.netgazeti.ge/news/399522/>
- წყარო: ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლო, მოპოვებულია <https://tcc.court.ge/ka/Jurors>

აქტივობა 20. შემთხვევის განხილვა-ანალიზი (მოსწ.სახ. გვ.74)**კითხვები და დავალებები:**

გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და იმსჯელეთ, რა სახის დანაშაულთან გვაქვს საქმე? რატომ ვერ აკავებენ დამნაშავეებს სამართალდამცავები? როგორია ბიზნესისა და საზოგადოების დამოკიდებულება მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით?

ასევე გაეცანით დანართში მოცემულ ამონარიდებს სისხლის სამართლის კოდექსიდან და სამოქალაქო კოდექსიდან და იმსჯელეთ, ვინ აგებს პასუხს განხილული დანაშაულის შემთხვევებში? (განიხილეთ დამნაშავეთა სხვადასხვა ასაკობრივი ვარიანტი).

დაფიქრდით არასრულწლოვანთა სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე და თანაკლასელებს გაუზიარეთ თქვენი დამოკიდებულებები, შეხედულებები, ინფორმაციის გააზრების პროცესში განცდილი თქვენი ემოციები და შეგრძნებები.

რესურსი:

- წყარო: „გლდანში „ბეკოს“ მაღაზია გაძარცვეს“, ფორტუნა (106,9 FM), 22.07.2018, მოპოვებულია <https://fortuna.ge/fortuna/post/gldanshi-bekos-maghazia-gadzarcves>

აქტივობა 21. ინფორმაციის ცხრილში ორგანიზება

იმუშავეთ წყვილებში. ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და ჩაწერეთ, თქვენი აზრით, რა მნიშვნელოვანი პიროვნული და პროფესიული უნარები უნდა გააჩნდეთ მოსამართლეს, პროკურორს, ადვოკატსა და ნაფიც მსაჯულს.

მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი	ნაფიცი მსაჯული

რეკომენდაცია მასწავლებელს:

აქტივობის მიზანია, გაიაზრონ მოსწავლეებმა რომ ჩამოთვლილი პროფესიებისათვის მნიშვნელოვანია როგორც პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა პატიოსნება, პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა, მიზანმიმართულობა, შრომისმოყვარეობა, დაკვირვებულობა და ა.შ. ასევე პროფესიული მიმართულებით მაგალითად: პროფესიული ეთიკის დაცვა, ავტორიტეტულობა, დეტალებისადმი ყურადღების გამახვილება, არგუმენტირებული მსჯელობა, დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავება, იურიდიულ დოკუმენტებთან მუშაობა, სამუშაოს დაგეგმვა და დროის მართვა, და ა.შ.

აქტივობა 22. იმიტირებული სასამართლო პროცესი (მოსწ.სახ. გვ.76-78)**დავალება:**

ყურადღებით გაეცანით სასამართლოს სხდომის პროცესის აღწერას. თანაკლასელებთან ერთად შეარჩიეთ განსახილველი შემთხვევა/საქმე. მოირგეთ როლები: სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე, მოსამართლეები, პროკურორი/გამომძიებელი, ბრალდებული, ადვოკატი, მოწმეები, ნაფიცი მსაჯულები.

გაანალიზეთ განსახილველი შემთხვევა და მოამზადეთ თქვენ მიერ შერჩეული როლის შესაბამისი სიტყვა, სასამართლო პროცესზე გამოსვლის ტექსტი.

გამართეთ იმიტირებული სასამართლოს სხდომა. გაითვალისწინეთ ყველა გარემოება, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. მიეცით კვალიფიკაცია დანაშაულს, გამოიტანეთ განაჩენი.

მანამდე კი ნახეთ იმიტირებული პროცესი მოცემულ ბმულზე: <https://t.ly/iqt7>

გამოსვლის ტექსტში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- ადამიანის რომელი უფლების დარღვევას ან დაცვას უკავშირდება თქვენი პოზიცია?
- რომელი საკანონმდებლო დოკუმენტი იცავს ამ უფლებას? როგორია მისი დაცვის მექანიზმები?
- რა დილემებთან არის დაკავშირებული ამ უფლების დაცვა?

- რამდენად ეყრდნობა თქვენი მოსაზრებები დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება) ?

ბოლოს იმსჯელეთ, რა გამოცდილება მიიღეთ ამ დავალების შესრულებით.

რესურსი:

- წყარო: იმიტირებული სასამართლო პროცესი (საქმე XIII პატრულ ინსპექტორისადმი დაუმორჩილებლობა), 9 იანვარი, 2017, საინფორმაციო სააგენტო ივერიელი, მოპოვებულია <https://t.ly/iqt7> <https://www.youtube.com/watch?v=cb02wWByQQ8>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

შესაძლებელია აქტივობის გამოყენება ალტერნატიულ კომპლექსურ დავალებად.

მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, რომ მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით მათთან ერთად შეარჩიოს განსახილველი შემთხვევა/საქმე. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს როგორც აქტივობის მოსამზადებელ სამუშაოზე, ასევე მნიშვნელოვანია პროცესის შემდგომ აქტივობის შეჯამება, მოსწავლეთა თვითშეფასება და აქტივობის შეფასება, დავალების შესრულებით მიღებული გამოცდილების განხილვა. მასწავლებელი აქტივობის საინტერესოდ ჩასატარებლად, ეცნობა და იყენებს სხვადასხვა რესურსს. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდს: <https://tcc.court.ge/ka/Forms/ProcessImitation>; <https://tcc.court.ge/ka/Faq>; შესაძლებლობის ფარგლებში და სასამართლოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით შეიძლება სასამართლოში ვიზიტის დაგეგმვაც.

ეტაპი III კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე თითოეული მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების ქრილში;

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 3
სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) ქვეცნება- ადვოკატირება; ინსტიტუციებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	საკითხი- ადამიანის უფლებები და სამართლებრივი პასუხისმგებლობები ქვესაკითხი- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მექანიზმები; სოციალური უფლებები და სამართლებრივი კულტურა; ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართალში. საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს საქმის შესწავლის საფუძველზე, როგორ გამოვკვეთო და აღვწერო სტატიაში/პრეზენტაციაში საქართველოში აქტუალური საკითხი ისე, რომ შევძლო საზოგადოების დაფიქრება და პრევენციულ ზომებში მათი მხრიდან აქტიური ჩართულობის წახალისება?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) 1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; 2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა; 3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; 4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;	კომპლექსური დავალება გაეცანით ევროპული სასამართლოს საქმეს და მოიძიეთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვეული მუხლები. (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან ამონარიდი იხილეთ სახელმძღვანელოს დანართში). წარმოიდგინეთ, რომ ხართ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი. თქვენ ეცნობით და აშუქებთ ევროპული სასამართლოს მიმდინარე საქმეებს, იკვლევთ და იძიებთ ანალოგიებს თქვენ ირგვლივ, წარმოაჩენთ სამოქალაქო საზოგადოების როლს. დაწერეთ სტატია, ან მოამზადეთ პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოების წინაშე წარსადგენად, რითაც ხელს შეუწყობთ, ერთი მხრივ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კონკრეტული უფლებადარღვევის შესახებ, მეორე მხრივ, საზოგადოებას მოუწოდებთ აქტიური ქმედებისაკენ, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ. წყარო: ეკიმჯიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 2022. მოპოვებულია https://t.ly/Md6r ნაშრომში მკაფიოდ წარმოაჩინეთ: • როგორია სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქის პერსონალური როლი ადამიანის

5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.	უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში? (სამოქ. მონაწ. 1, 2, 4.) რამდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივი კულტურის გაუმჯობესებისთვის სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა არამძალადობრივი მეთოდისა და ფორმის გამოყენება და დაინტერესებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა? (სამოქ. მონაწ. 3, 5)
---	---

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის (ცხოვრებისეული გამოცდილების) გააქტიურება

კითხვები:

- როდისმე გქონიათ სხვათა მხრიდან თქვენი უფლებების შელახვის შემთხვევა?
- როგორი რეაგირება მოახდინეთ ამ შემთხვევაზე?
- რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ თქვენი საქციელი?
- როგორ იქცევით, როცა ხედავთ, რომ თქვენი უფლება ირღვევა?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, მასწავლებელი ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რა ტიპის /რა შინაარსის ტექსტების/პრეზენტაციების შემუშავებაზე გიმუშავიათ?
- რამდენად მნიშვნელოვანია მოსაზრებების დამაჯერებლად, დამარწმუნებლად შედგენა და წარმოთქმა?
- რა ტიპის არგუმენტების, ფაქტების, წყაროების მოშველიებაა საჭირო?
- რატომ უნდა მიაქციონ ყურადღება იმ სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც განსაკუთრებულ ეფექტს მოახდენს აუდიტორიაზე/ადრესატზე?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ სტატიის დასაწერად/პრეზენტაციის მოსამზადებლად?
- როგორ გამოვკვეთო ნაშრომში ძირითადი სათქმელი?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს ჩაინიშნონ დამღეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი.

ჩვენ მოსწავლეებისათვის გასაცნობად შემოგთავაზეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთი საქმე, რომელსაც ვთვლით, რომ აქტუალური იქნება მე-10 კლასის მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. თუმცა მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეარჩიოს სასურველი საქმე, რომელიც შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ბმულებზე: [ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო \(coe.int\)](http://coe.int); [საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა \(idfi.ge\)](http://საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა (idfi.ge));

მართალია, წარმოდგენილი საქმე ვრცელია, მაგრამ საინტერესოდ დასამუშავებელია და შესაძლებელია მისი დაკავშირება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთანაც. ამისათვის კი გამოგადგებათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი <https://personaldata.ge/ka/decisions>, სადაც განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიღებული გადაწყვეტილებები.

მასწავლებელი პარაგრაფებში მოცემული შინაარსის დამუშავების პარალელურად მოსწავლეებს ეხმარება საკითხის გააზრებასა და მოსწავლეთა მიერ შერჩეული კონკრეტული პრობლემის/უფლების დარღვევის პრევენციის მიზნით გარკვეული ინტერვენციებისა და რეკომენდაციების საზოგადოებისათვის საინტერესოდ წარმოდგენაში. მაგალითად, რა შეუძლიათ მოქალაქეებს მოსმენებთან დაკავშირებით? თუ კანონმდებლობის ხარვეზი გამოიკვეთება, საკანონმდებლო ინიციატივაზე მივათითებინოთ და ა.შ.

აქვე გთავაზობთ სასარგებლო ბმულებს, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება საკითხის ირგვლივ თვალსაწიერის გაფართოებაში:

- ყველაფერი სამართლის შესახებ
<https://www.facebook.com/106365784688806/posts/106433201348731>
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კითხვა-პასუხი [DisplayDCTMContent \(coe.int\)](https://www.echr.coe.int/DisplayDCTMContent?coe.int)
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
https://echr.coe.int/Documents/Convention_Instrument_KAT.pdf
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური
<https://personaldata.ge/ka/library/post/8313?fbclid=IwAR3J2a0KpZkB4FxBzsVvRjPYsqYn0c0xVREfWm6pFdLvndPQJqMyGADzfY>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ § 6, § 7 და § 8-ში მოცემულ საინტერესო მასალას, კონკრეტულ ფაქტებსა და მაგალითებს. აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. როგორია სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქის პერსონალური როლი ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში?

აქტივობა 1. რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევების განხილვა და დისკუსია (მოსწ. სახ. გვ. 84-86)

კითხვები დისკუსიისთვის:

- რას გულისხმობს, იყო ტოლერანტი, შემწყნარებელი?
- რამდენად ვართ ტოლერანტები დღეს, 21-ე საუკუნეში?
- მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, მაგრამ რამდენად მოგვარებულია ეს საკითხი ჩვენთან?
- რა კეთდება ან უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს პრობლემა (არსებობის შემთხვევაში) აღარ არსებობდეს?
- გსმენიათ ან შესწრებიხართ შემთხვევის - „რასობრივი ნიშნით ძალადობა რუსთავეში“ მსგავს ფაქტებს?
- რას მოიმოქმედებდით თქვენ რომ ყოფილიყავით სამარშრუტო ტაქსიში?
- რა პრობლემას ხედავთ ამ სიტუაციიდან გამომდინარე?
- რას მოიმოქმედებდით მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად?

რესურსი:

- წყარო: აფრო-ამერიკელთა ისტორიის თვე (20 თებერვალი), აშშ-ს საელჩო საქართველოში, „რუბი ბრიჯისი“, მოპოვებულია
<https://ge.usembassy.gov/ka/black-history-month-february-20/>

- წყარო: „რასობრივი ნიშნით ძალადობა რუსთავეში“, ანგარიში რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, 5 აპრ, 2019, რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია, უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, მოპოვებულია

<https://osgf.ge/angarishi-rasobrivi-diskriminaciis-shesakheb/>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ტოლერანტობის საკითხზე მსჯელობისას, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რელიგიური შეწყნარებლობის საკითხის გააქტიურება. მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზოს დისკუსია რელიგიის თავისუფლების შელახვის შემთხვევების განხილვის მიზნით. ამგვარი აქტივობის ძირითადი მიზანი მიმართულია იმაზე, თუ:

- როგორ დავაფიქრო მოსწავლეები საზოგადოებისთვის პრობლემატური რელიგიური ნეიტრალიზების საკითხზე?
- როგორ წარმოვაჩინო ჩვენს ირგვლივ არსებული რეალობისა და სამართლებრივ ნორმებს შორის შესაბამისობასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათ გადაჭრაში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა?
- რამდენად მნიშვნელოვანია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების დაცვისას არამაღალდობრივი მეთოდებისა და ფორმების გამოყენება და დაინტერესებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა?

სასურველია შემდეგი ან მსგავსი წყაროების მოძიება და გამოყენება:

- „ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, მოპოვებულია <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdag-begeluri-da-sxva.pdf>
- „რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულები 2018-2020“. მოპოვებულია <https://pog.gov.ge/uploads/886a091c-religiis-nishniT-diskriminaciis-motivi.pdf>

აქტივობა 2. - ჯგუფური მუშაობა, როლური თამაში (მოსწ. სახ. გვ. 86-87)

დაიყავით ჯგუფებად, ერთ-ერთი წევრი დაასახელებთ ინტერვიუერად, რომელმაც ინტერვიუ უნდა აიღოს ჯგუფის დანარჩენი წევრებისგან.

კითხვები, რომელიც უნდა დაისვას და ჯგუფის ყველა წევრის პასუხი ჩაიწეროს ინტერვიუერმა: წარმოიდგინე, რომ სასწავლებლად წახვედი უცხოეთში, ისეთ ქვეყანაში, სადაც შენი გარეგნობით გამოირჩევი. მარკეტში/მაღაზიაში შენს კითხვას კონსულტანტმა ყურადღება არ მიაქცია და მოემსახურა ადგილობრივს, თან სიძულვილი გამოხატა შენ მიმართ. მიხვდი, რომ შენი გამორჩეულობის გამო მოგექცა ასე.

რა გრძნობა დაგეუფლება ამგვარ სიტუაციაში? როგორ მოიქცევი?

ინტერვიუერმა ჯგუფთან ერთად უნდა შეაჯამოს ყველას პასუხი - რას გრძნობს ადამიანი დისკრიმინაციის დროს და წარადგინოს კლასის წინაშე.

იმსჯელეთ, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ამგვარი დისკრიმინაციული შემთხვევების მიმართ? რა პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

რესურსი:

- რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია, უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ანგარიში, 2019 წ. მოპოვებულია http://tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobrivi_diskriminacia_ucxoelebis_uplebebi.pdf

რეკომენდაცია მასწავლებელს:

აქტივობის ჩატარებისას მნიშვნელოვანია, როდესაც მოსწავლეებს ვთხოვთ საკუთარი ემოციები და ფიქრები აღწერონ არა მარტო მსხვერპლის, არამედ მოძალადისა და სიტუაციის

შემსწრის პოზიციიდან. ეს მოსწავლეებს ერთი და იმავე მოვლენის განსხვავებული პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას მისცემს და თანაზიარობის განცდას განუვითარებს.

აქტივობა 3. შემთხვევის - „უცხოელების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა საბანკო მომსახურების სფეროში“ - განხილვა (მოსწ. სახ. გვ. 87)

კითხვები:

რა რეკომენდაციებს მისცემდით „საქართველოს ბანკს“?

ვის მიმართავდით საკითხის შესასწავლად და/ან პრობლემის გადასაჭრელად?

რესურსი:

- წყარო: „უცხოელების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა საბანკო მომსახურების სფეროში“, ანგარიში რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, 5 აპრ, 2019, რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია, უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, მოპოვებულია <https://osgf.ge/angarishi-rasobrivi-diskriminaciis-shesakheb/>

აქტივობა 4. უსინათლოთა პრობლემების განხილვის საფუძველზე, საზოგადოების როლის მნიშვნელობის გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 89)

კითხვები და დავალებები:

- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა უსინათლო პირების ხელმოწერის პროცედურასთან მიმართებაში კანონის გაუმართაობის გამო?
- თქვენ როგორ გადაწყვეტდით ამ საკითხს, იუსტიციის მინისტრი რომ იყო?
- რა საკანონმდებლო ინიციატივას შესთავაზებდით პარლამენტს?

იმსჯელეთ უსინათლოთა უფლებრივ მდგომარეობაზე საქართველოში. რა დახმარება სჭირდებათ მათ საზოგადოების მხრიდან? ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები.

რესურსი:

- წყარო: „უსინათლოთა პრობლემები – აქტივისტი, ესმა გუმბერიძე“, ევრონიუსი, 20 მაისი, 2022, მოპოვებულია <https://cutt.ly/NLSUTz2>
- წყარო: „სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც უსინათლოთათვის არ არსებობს“, რადიო „თავისუფლება“, ოქტომბერი 15, 2015, მოპოვებულია <https://cutt.ly/iLSXm6R>

აქტივობა 5. შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით გამოკითხვა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. (მოსწ. სახ. გვ. 90-91)

დავალება:

გამოიკითხეთ თქვენს სკოლაში, თემში, უბანში შშმ პირები, მათი მშობლები/მეურვეები - რამდენად არიან ინფორმირებული - რა შეთავაზება აქვს მათთვის სოციალური მომსახურების სააგენტოს და რა დახმარება სჭირდებათ კიდევ.

რესურსი:

- წყარო: „შშმ პირების უფლებების დარღვევის ფაქტები და ბიუროკრატია, რასაც მშობლები აწყდებიან - რას გირჩევთ იურისტი“, რადიო „ფორტუნა“ (FM 106,9), მოპოვებულია <https://cutt.ly/HLGQLfQ>
- წყარო: „მხარდაჭერითი დასაქმება სამუშაოს მაძიებლებისთვის“, სოციალური მომსახურების სააგენტო, 23.05.2018 წ., მოპოვებულია http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1233

აქტივობა 6. მოქალაქეთა თანასწორობის საკითხის განხილვა სტატისტიკური ინფორმაციისა და შემთხვევების მაგალითზე (მოსწ. სახ. გვ. 92-97)

კითხვები და დავალებები:

დააკვირდით დიაგრამებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ერთი მხრივ, ეკონომიკური სტატუსის მიხედვით როგორ არის ქალთა და მამაკაცთა განაწილება და, მეორე მხრივ, როგორია შინამეურნეობების განაწილება ქალებსა და კაცებს შორის.

- თქვენი აზრით, სად/რაში აისახება გენდერული უთანასწორობა საქართველოში და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს?

მომზადეთ კითხვარი და ჩაატარეთ გამოკითხვა თემაზე: რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის და საზოგადოების განვითარებისთვის გენდერული თანასწორობა და ბალანსი როგორც ქვეყნის მმართველობაში, ასევე ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, ხელოვნებასა და კულტურაში და ა.შ.

შეაჯამეთ გამოკითხვის შედეგები და საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის შეიმუშავეთ რეკომენდაციები ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების გასატარებლად.

რესურსი:

- წყარო: გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. 2021. მოპოვებულია <https://t.ly/a-DU>
- წყარო: თარხნიშვილი, ნ., „სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება - გავრცელებული, მაგრამ დაფარული პრობლემა“, რადიო „თავისუფლება“, სექტემბერი 22, 2021, მოპოვებულია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31472885.html>
- წყარო: „სახალხო დამცველმა შრომით ურთიერთობაში სექსუალური შევიწროება დაადგინა“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდი, 14 ივლისი, 2022, მოპოვებულია <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/220714123634sakhalkho-damtsvelma-shromit-urtirotobashi-seksualuri-shevitsroeba-daadgina>

აქტივობა 7. საქართველოს სახალხო დამცველის როლის გააზრება, შემთხვევების განხილვა (მოსწ. სახ. გვ. 97-100)

კითხვები და დავალებები:

- რა სახის დისკრიმინაცია შეიძლება არსებობდეს მსჯავრდადებულებთან მიმართებით?
- რა შეიძლება განვიხილოთ ამ დისკრიმინაციის პრევენციულ ქმედებად?

გაეცანით სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდს <https://www.ombudsman.ge/> გამოყავი ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც ქვეყანაში სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებისთვის პრევენციულ ღონისძიებებად მიგაჩნია და გაუზიარე კლასს.

რესურსი:

- წყარო: სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდი, 24 თებერვალი, 2022, მოპოვებულია <https://www.ombudsman.ge/geo/190308041856angarishebi/spetsialuri-angarishi-diskriminatsiis-tsinaaghmdeg-brdzolis-misi-tavidan-atsilebisa-da-tanastsorobis-mdgomareobis-shesakhebi>
- წყარო: „საკნის საცხოვრებელი პირობები“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდი, 30 მაისი, 2022, მოპოვებულია <https://www.ombudsman.ge/geo/siskhlis-samartlis-martlmsajulebis-departamenti/saknis-satskhovrebeli-pirobebi>

- წყარო: ვებინარი გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდი, 4 ივლისი 2022, მოპოვებულია <https://t.ly/7xm->

აქტივობა 8. ესეს წერა: ჩემი ხედვა - ვართ თუ არა ჩვენ ტოლერანტები?

კითხვები და დავალებები:

- არის თუ არა კანონდარღვევა: ადამიანების ცილისწამება, უხამსობა, ერთმანეთის მიმართ დამაპირისპირებელი სიტყვების, დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის გამოყენება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა პროტესტისა და დემონსტრაციების დროს.
- რამდენად არის დაცული დღეს საქართველოში გამოხატვის თავისუფლება და როგორია ვითარება ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით?

გაეცანით დანართში მოცემულ ამონარიდს საქართველოს კონსტიტუციიდან და **მოიძიეთ** შესაბამისი მუხლი, რომელიც ადგენს საკონსტიტუციო გარანტიებს ამ პარაგრაფში განხილული ადამიანის უფლებებისას და თქვენ მიერ ზემოთ განხილული (დისკუსიებით, მსჯელობებით) საკითხების საფუძველზე **დაწერეთ ესე: ჩემი ხედვა - ვართ თუ არა ჩვენ ტოლერანტები?**

გამოკვეთეთ ერთი რომელიმე საკითხი (დისკრიმინაციის მხრივ) და **იმსჯელეთ:**

- როგორია საზოგადოების მიმართება თქვენ მიერ შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით;
- რა კეთდება სახელმწიფოს მხრიდან იმისთვის, რომ არ იყოს დისკრიმინაცია საქართველოში ამ მიმართულებით?
- რას გავაკეთებდი მე, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, ხელისუფლებაში რომ ვიყო?

ნაბიჯი 2. რამდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივი კულტურის გაუმჯობესებისთვის სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა არამალადობრივი მეთოდისა და ფორმის გამოყენება და დაინტერესებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა?

აქტივობა 9. შემთხვევების განხილვა და მსჯელობა შრომითი კანონმდებლობის ასპექტების გასააზრებლად. (მოსწ. სახ. § 7 გვ. 100-104)

კითხვები და დავალებები:

- წინარე ცოდნის გააქტიურება: როგორ ფიქრობთ, როგორი სოციალური პირობები სჭირდება ადამიანს იმისთვის, რომ სრულფასოვან, თავისუფალ მოქალაქედ იგრძნოს თავი?
- თქვენი აზრით, ადამიანის რომელი უფლებების დარღვევას აპროტესტებენ კომპანია „ბორჯომის“ თანამშრომლები და აქციის მოწყობით, კონსტიტუციით მინიჭებული რომელი უფლებით სარგებლობენ ისინი? (იხელმძღვანელებთ დანართში მოცემული საკანონმდებლო ნორმებით).
- ყურადღებით გაეცანით სამოქალაქო ინიციატივების პლატფორმაზე განთავსებული პეტიციის შინაარსს. წინასწარ შევთანხმდეთ, რომ პეტიციაში წამოჭრილი სოციალური საკითხი მეტად აქტუალურია.

იმსჯელეთ, პეტიციის ტექსტში რამდენად სიღრმისეულად არის დასაბუთებული პრობლემის არსი, რამდენად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პრობლემის გადაჭრის გზები და მოთხოვნა. რა რეკომენდაციას მისცემდით პეტიციის ავტორებსა და ხელმომწერებს პეტიციის შინაარსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით?

გაეცანით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის ინტერვიუს დეკრეტული შვებულების ანაზღაურების წესის შესახებ (10 მაისი, 2022 წ.).

როგორ ფიქრობთ, ინდივიდუალურ ქმედებებთან შედარებით, რა უპირატესობა აქვს პროფესიული კავშირების ჩართულობას შრომითი პრობლემების მოგვარებაში?

იმსჯელეთ: რამდენად მნიშვნელოვანი ფორმაა მხარეთა მორიგება სასამართლო დავის მოსაგვარებლად? რამდენად უწყობს ხელს ადამიანის უფლებების და კერძოდ შრომითი უფლებების დაცვის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და რა ზეგავლენას ახდენს ასეთი ჩართულობა როგორც საზოგადოებაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაზე? თქვენი მოსაზრება დასაბუთეთ.

რესურსი:

- წყარო: „კომპანია „ბორჯომის“ თანამშრომლები გაიფიცნენ“, 18.05.2021 მოპოვებულია <https://civil.ge/ka/archives/420767>
- წყარო: „პედაგოგთა დეკრეტული ანაზღაურება“, პეტიცია, 11 იანვარი, 2022, მოპოვებულია <https://cutt.ly/dLJZcS3>
- წყარო: საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის ინტერვიუ დეკრეტული შვებულების ანაზღაურების წესის შესახებ, 10 მაისი, 2022, მოპოვებულია <https://cutt.ly/hLFafVt>.
- წყარო: „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმატებული სასამართლო პროცესი და სამსახურში აღდგენილი პედაგოგი“, 2 მაისი, 2022, მოპოვებულია <https://www.facebook.com/ESFTUG/posts/2370716492985839>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სახელმძღვანელოში სარეკომენდაციოდ შემოთავაზებულია სხვადასხვა შემთხვევა, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეებისთვის ადამიანის სოციალური უფლებების დაცვის მიმართულებით სამოქალაქო მონაწილეობის არაძალადობრივი მეთოდებისა და ფორმების მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრებაში.

აქტივობა 10. შემთხვევების, კვლევის ანგარიშების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება ბავშვთა შრომის სამართლებრივი საფუძვლების გასააზრებლად (მოსწ. სახ. გვ. 105-111)

კითხვები და დავალებები:

1. **იმსჯელეთ:** რა უნდა გაკეთდეს ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და რა ზომები უნდა გატარდეს პრევენციისთვის? მოამზადეთ რეკომენდაციები.
2. **გაეცანით** იუნისეფის რეკომენდაციებს და **შეადარეთ** თქვენ მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს. რა მსგავსებასა და რა განსხვავებას ხედავთ?
3. **როგორ ფიქრობთ**, შრომის კოდექსით განსაზღვრული რომელი ნორმები ირღვევა ქუჩის ბავშვების შემთხვევაში? ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ბავშვების უფლებების დარღვევაზე? რა საფრთხეს უქმნის საზოგადოებას მათი დისკრიმინაციული მდგომარეობა?
4. თავისუფალი განვითარების უფლებრივი თვალსაზრისით, **შეადარეთ** მაღაზიის „მფლობელი“ ბავშვების მდგომარეობა ქუჩის ბავშვების მდგომარეობასთან.
5. იუნისეფში“ განათლების პროგრამების ხელმძღვანელის მავო ყუფარაძის თქმით, „მხოლოდ კანონი, რომ სკოლამ უნდა მიიღოს აკადემიური ჩამორჩენის მქონე ბავშვი სკოლაში, პრობლემას არ და ვერ წყვეტს. უნდა შემუშავდეს პროგრამები“ და ჩამოთვლის რამდენიმე მაგალითს. თქვენ რას დაამატებდით?
6. როგორ წარმოგიდგენიათ, რა როლის შესრულება შეგიძლიათ თქვენ, ახალგაზრდებს, განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვაში?
შექმენით საინიციატივო ჯგუფი, მოიფიქროთ პროექტი, რომლის ფარგლებშიც, თქვენს უბანში/თემში არსებული განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებს აღრიცხავთ, **გამოიკვლიეთ** მათი სოციალური საფუძვლები და **დასახეთ გეგმა** - როგორ შეიძლება მათი ინტეგრაცია თქვენს სკოლაში. გახსოვდეთ, ბავშვები თქვენს თანატოლებს უფრო ენდობიან და მათზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა თქვენ შეგიძლიათ. იქნებ გადაარჩინოთ თუნდაც 1 ან 2 ბავშვი.
7. **როგორ ფიქრობთ**, რამდენად აზიანებს სახელმწიფოს და საზოგადოებას ათასობით ბავშვთან მიმართებაში საკონსტიტუციო ნორმების დარღვევა? რა არის მიზეზი იმისა, რომ ბავშვები არ დადიან სკოლაში? ვისი ვალდებულებაა ამ პრობლემის მოგვარება? რა სამართლებრივი პირობებია შესაქმნელი ქვეყანაში ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის

მოსაგვარებლად? როგორ ფიქრობთ, რამდენად სრულდება კონსტიტუციის მუხლი 5 და მუხლი 27 ჩვენს ქვეყანაში?

8. იმსჯელეთ: რას აშავებს დამსაქმებელ? რა სამართლებრივი ცოდნა უნდა გააჩნდეს მოქალაქეს, რომ თავიდან აიცილო დისკრიმინაციული შრომითი ურთიერთობა?

რესურსი:

- წყარო: „ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მუშაობენ და ცხოვრობენ“, რადიო თავისუფლება, 21.01. 2019, მოპოვებულია

[ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მუშაობენ და ცხოვრობენ radiotavisupleba.ge](https://radiotavisupleba.ge)

- წყარო: ნერგაძე, თ., „ექსპოზიციური და ცივილიზაციური საფრთხეები, მძიმე და სამაჯურებს“ - ბავშვების მაღალია ბათუმში“, ინტერნეტგაზეთი „ბათუმელები“, 11.07.2022, მოპოვებულია <https://batumelebi.netgazeti.ge/news/422448/>
- წყარო: დუმბაძე, ლ., „სახელმწიფომ არ იცის, სად არის ქვეყანაში დაბადებული 5 000 ბავშვი“, ინტერნეტგაზეთი „ბათუმელები“, 26.03.2021, მოპოვებულია <https://batumelebi.netgazeti.ge/news/336384/>
- წყარო: „შრომის ინსპექციის სამსახურმა 15 წლის ბიჭის იძულებითი შრომის ფაქტი გამოავლინა“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი არხი, 20 მაისი 2022, მოპოვებულია

<https://1tv.ge/news/shromis-inspeqciis-samsakhurma-15-wlis-bichis-idzulebiti-shromis-faqtigamoavlina/>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ბავშვთა შრომის საკითხის გასააზრებლად სახელმძღვანელოში სარეკომენდაციოდ შემოთავაზებულია მრავალფეროვანი შემთხვევები, ასევე იუნისეფის კვლევის შედეგები, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეებს მათი თანატოლების თანამედროვე ისტორიების მაგალითზე დაანახოთ პრობლემა და ამ პრობლემის სამართლებრივი გადაჭრის შესაძლებლობებთან ერთად გააცნობიერებინოთ მათი და საზოგადოების როლი და პასუხისმგებლობები. თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ წარმოდგენილი დავალებები თქვენი კლასის მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასევე გაამრავალფეროვნოთ აქტუალური თემებითა და მაგალითებით.

აქტივობა 11. შემთხვევის შესწავლა და როლური თამაში შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი ასპექტების გასააზრებლად. (მოსწ. სახ. გვ. 112-114)

კითხვები და დავალებები:

იმსჯელეთ: ვინ არის პასუხისმგებელი ტყიბულში მომხდარ შემთხვევაზე? რა პრევენციული ზომები უნდა მიეღო ადმინისტრაციას? რამდენად არის მნიშვნელოვანი შრომითი კანონმდებლობის ცოდნა როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულისათვის?

იმსჯელეთ: რა პერსპექტივებს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოებას საერთაშორისო შრომითი კონვენციების ნორმების გაზიარება.

რამდენად არის მნიშვნელოვანი შრომითი კანონმდებლობის ცოდნა როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულისათვის?

როლური თამაში - ვაკანსიის გამოცხადების საფუძველზე გასაუბრება, კადრების შერჩევა.

დაიყავით წყვილებად და მასწავლებლის შეთავაზებით შეარჩიეთ რომელიმე დაწესებულება და მასში გამოცხადებული ვაკანსია (მაგ., ტყიბულის ქვანახშირის მადაროში მუშა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებელი, კომპურა ამწეების ოპერატორი, მაღაზიის კონსულტანტი, მოლარე, სკოლის მასწავლებელი და სხვ.). წყვილიდან ერთი იქნება დამსაქმებელი, მეორე - დასაქმებული/კანდიდატი.

გაითამაშეთ სამსახურში მიღების გასაუბრების სცენა.

ხელშეკრულების დადებამდე რითი უნდა დაინტერესდეს, ერთი მხრივ, დამსაქმებელი და, მეორე მხრივ, დასაქმებელი/კანდიდატი?

რა უნდა დააზუსტოს ერთმა და მეორე მხარემ?

რა უფლებებითა და მოვალეობებით უნდა სარგებლობდეს თითოეული მხარე?

თქვენი უფლებების გათვალისწინებით, წინასწარ მოამზადეთ კითხვები და საკითხები, რაზეც გექნებათ საუბარი. (დავლების შესასრულებლად გაეცანით საქართველოს შრომის კოდექსის ნორმებს დანართში მოცემული ამონარიდიდან).

რესურსი:

- წყარო: „ტყიბულის მაღაროში გამოვლენილი სხვადასხვა სახის დარღვევის გამო, შრომის ინსპექციამ აფეთქებითი სამუშაოების შეჩერებისა და კონკრეტული უბნის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო“, საზოგადოებრივი მაუწყებელი 31.01.2022, მოპოვებულია <https://t.ly/MtQ3>
- წყარო: „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცდა“, საზოგადოებრივი მაუწყებელი 06.07.2022, მოპოვებულია <https://1tv.ge/news/samushao-sivrceshi-usaftrkxhoebisa-da-janmrteლობის-dacvis-minimaluri-motkhovnebis-shesakheb-teqnikuri-reglamenti-damtkicda/>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სამართლებრივი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია შრომითი ურთიერთობები. ამ საკითხის გასააზრებლად სახელმძღვანელოში სარეკომენდაციოდ შემოთავაზებულია მრავალფეროვანი შემთხვევები, ასევე ინფორმაცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეებს რეალური შემთხვევების მაგალითზე დაანახოთ პრობლემა და ამ პრობლემის სამართლებრივი გადაჭრის შესაძლებლობებთან ერთად გააცნობიერებინოთ, რამდენად არის მნიშვნელოვანი შრომითი კანონმდებლობის ცოდნა როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულისათვის.

აქტივობა 12. ფილმის ნახვა და შემთხვევების განხილვა საერთაშორისო სამართლის უზენაესობის გაცნობიერების მიზნით (მოსწ. სახ. § 8 გვ. 115-120)

კითხვები და დავალებები:

- როგორ ფიქრობთ, თუ მოქალაქე თავის სახელმწიფოში ვერ პოულობს სამართალს, რა გზებს შეიძლება მიმართოს მან?
 - რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა დაცვას მსოფლიოში?
1. **იმსჯელეთ**, 2006 წელს რუსეთიდან დეპორტირებულ ადამიანთა რომელი უფლებები დაირღვა დეპორტირების პროცესში? საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რომელი ნორმებით კვალიფიცირდება (ფასდება) მათ მიმართ განხორციელებული ქმედებები, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა? (გამოიყენეთ დანართში მოცემული ამონარიდები საკანონმდებლო აქტებიდან).
 2. ნახეთ ფილმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ. **ფილმის ნახვის შემდეგ გაიხსენეთ ან მოიძიეთ** ინფორმაცია ინტერნეტში, (შეგიძლიათ ისარგებლოთ ბმულით: <https://cutt.ly/PZeCmNd>) ევროპულ სასამართლოში განხილული საქმეების შესახებ.
გააცანით კლასს თქვენი მოძიებული მასალა და **იმსჯელეთ**, რატომ ვერ მოხდა ამ საქმეების თვითონ სახელმწიფოს შიგნით სამართლიანად გადაწყვეტა.
 3. სტრასბურგის სასამართლომ რუსეთს 2006 წელს ქართველების დეპორტაციის გამო 10 მლნ ევროს გადახდა დააკისრა. **იმსჯელეთ**, რა მნიშვნელობა აქვს ევროპული

სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას საქართველოს საზოგადოებისათვის საერთაშორისო სამართლის უზენაესობის გაცნობიერების თვალსაზრისით?

რესურსები:

- წყარო: ბერულავა, ნ., „დეპორტაციის პირველი მსხვერპლი საქართველოში“. 23 ოქტომბერი, 2006. მოპოვებულია <https://t.ly/gGy5>
- წყარო: წულაძე, ზ., „დეპორტაცია ეთნიკური ნიშნით და არაადამიანური პირობებით“, ამერიკის ხმა. 31 იანვარი, 2011. მოპოვებულია <https://www.amerikiskhma.com/a/article---114948679/533876.html>
- წყარო: 2006 წელს რუსეთიდან დეპორტირებულ ადამიანთა შესახებ ბმული. მოპოვებულია <https://netgazeti.ge/news/337721/>
- წყარო: ფილმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ. მოპოვებულია <https://www.youtube.com/watch?v=vqjFXZICUH4>
- წყარო: „სტრასბურგის სასამართლომ რუსეთს 2006 წელს ქართველების დეპორტაციის გამო 10 მლნ ევროს გადახდა დააკისრა“. 31.01.2019. მოპოვებულია <https://civil.ge/ka/archives/275346>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ქვესაკითხის „ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართალში“ შესწავლის მიზანია მოსწავლეების მხრიდან საერთაშორისო სამართლის უზენაესობის გაცნობიერება, ასევე ადამიანი უფლებათა ევროპული სასამართლოს როლისა და მუშაობის სპეციფიკის გაცნობა. სასურველია მასწავლებელმა პროექტორით კლასში აჩვენოს მითითებული ფილმი, გამართოს მსჯელობა, რაც დაეხმარება მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებასა და სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში.

აქტივობა 13. ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით სასარჩელო განაცხადის შედგენა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად.

კითხვები და დავალებები:

გაეცანით ინფორმაციას (მოსწ. სახ. გვ. 121) და **იმსჯელეთ**: რა პრობლემებს ხედავთ 80-იანი წლების საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით? ადამიანის რომელი უფლებების დარღვევაზე მიგვითითებს ჟურნალისტის დღიურის ჩანაწერები?

ჩავთვალოთ, საქმე განხილულია ყველა დონის სასამართლოში და ნაზი შამანაური აღიარებულია ფსიქიკურ ავადმყოფად. წარმოიდგინეთ თავი იმ დროის საქართველოს მოქალაქედ, რომელიც ცდილობს ჟურნალისტის, როგორც აქტიური მოქალაქის პოზიციის დაცვას. თქვენ იცნობთ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და აცნობიერებთ, რომ საბჭოთა სახელმწიფო უზემად არღვევდა ადამიანის ძირითად უფლებებს.

ჟურნალისტის უფლებების დაცვის მიზნით **დაწერეთ** სასარჩელო განაცხადი საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად.

სარჩელში მკაფიოდ ასახეთ ადამიანის უფლების დარღვევის ეპიზოდები და დაასაბუთეთ ევროპული კონვენციიდან შესაბამისი მუხლების მითითებით. ბოლოს კი ჩამოაყალიბეთ თქვენი მოთხოვნა. დავალების შესრულებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ მესამე კომპლექსურ დავალებაში მოცემული „ეკიმჯიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“ საქმის აღწერისა და შეფასების ნაწილში წარმოდგენილი მსჯელობა.

იმსჯელეთ: აღასრულებდა თუ არა საბჭოთა საქართველო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას ნაზი შამანაურის საქმეზე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

რესურსი:

- წყარო: „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“, ნაზი შამანაურის შესახებ, მოპოვებულია <https://feedc.com/post/9426811211896544>

აქტივობა 14. წყვილებში/ჯგუფებში მუშაობა, ცხრილის შევსება.

დავალება:

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში. (მოსწ. სახ. გვ. 123)

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავიდან „ადამიანის ძირითადი უფლებები“ შეარჩიეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი სამი უფლება და ჩაწერეთ ცხრილის პირველ სვეტში. ცხრილის მეორე სვეტში ჩაწერეთ პიროვნული პასუხისმგებლობები, რომელთა შესრულებითაც ადამიანებს თვითონ მიეცემათ საშუალება განახორციელონ საკუთარი უფლებები. მესამე სვეტში კი აღწერეთ სკოლის, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების პასუხისმგებლობა, რაც უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვას.

(მაგალითად, განათლების უფლების რეალიზებისათვის მოსწავლის პიროვნული პასუხისმგებლობაა, რომ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და იზრუნოს პიროვნულ განვითარებაზე: იაროს სკოლაში, შეასრულოს დავალებები და მასწავლებლის რეკომენდაციები. ხოლო სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, რომ სკოლაში შექმნას უსაფრთხო გარემო, უზრუნველყოს განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა ყველა მოსწავლისათვის.)

ადამიანის ძირითადი უფლება	პიროვნების/მოქალაქის პასუხისმგებლობა	სკოლის/დაწესებულების და ა.შ. პასუხისმგებლობა
1.		
2.		
3.		

ეტაპი III - კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე, თითოეული მოსწავლე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა (მათ შორის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის გზების დასახვა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, დეზინფორმაციის ამოცნობა და მხილება);

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 4
სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3) ქვეცნება- მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები	საკითხი- სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოება და მდგრადი განვითარების მიზნები ქვესაკითხი- სამართლის უზენაესობა მდგრადი განვითარებისთვის; თანამშრომლობა სამართლიანობისთვის. საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები როგორ გამოვკვეთო და აღვწერო ესემი/პრეზენტაციაში ქვეყნის კანონის უზენაესობის ინდექსსა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის კავშირი და ურთიერთგავლენები. ასევე, ის პოზიტიური გავლენები, რასაც მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოება ახდენს ადამიანზე?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3) - რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; - ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი მეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	კომპლექსური დავალება გაცენით „მსოფლიო სამართლის პროექტის“ ფარგლებში განსაზღვრულ კანონის უზენაესობის შეფასებას საქართველოში (საქართველოს ინდექსის მაჩვენებლებს რვა კრიტერიუმის მიხედვით). დაწერეთ ესე ან/და მოამზადეთ პრეზენტაცია სადაც ჩამოაყალიბებთ თქვენს მოსაზრებებს/მიგნებებს, რა პოზიტიურ გავლენას ახდენს ადამიანზე მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებაში ცხოვრება/თანაარსებობა? წყარო: „საქართველო კანონის უზენაესობის 2021 წლის ინდექსში“, 2021. მოპოვებულია https://cutt.ly/xZdgMzh ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: - როგორ უკავშირდება ქვეყნის კანონის უზენაესობის ინდექსი მდგრადი განვითარების მიზნებს (გარემოს დაცვა; ეკონომიკური განვითარება; სოციალური კეთილდღეობა) და მისი მიღწევის შესაძლებლობებს? (მდგრადი განვითარება 1) - როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი და სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყანაში/მსოფლიოში სამართლიანი, მშვიდობიანი და ჰარმონიული გარემოს დამკვიდრებაში? (მდგრადი განვითარება 2)
კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის (ცხოვრებისეული გამოცდილების) გააქტიურება კითხვები:	

- გაიხსენეთ, რას ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება?
- რა როლი და მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვის უფლების რეალიზებას მდგრადი განვითარებისათვის?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაგნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, მასწავლებელი ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რა ტიპის /რა შინაარსის ტექსტების/პრეზენტაციების შემუშავებაზე გიმუშავიათ?
- რამდენად მნიშვნელოვანია მოსაზრებების დამაჯერებლად, დამარწმუნებლად შედგენა?
- რა ტიპის არგუმენტების, ფაქტების, წყაროების მოშველიებაა საჭირო?
- რატომ უნდა მიაქციონ ყურადღება იმ სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც განსაკუთრებულ ეფექტს მოახდენს აუდიტორიაზე?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ესეს დასაწერად/პრეზენტაციის მოსამზადებლად?
- როგორ გამოვკვეთო ნაშრომში ძირითადი სათქმელი?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?
- თქვენი აზრით, კანონის უზენაესობის საქართველოს ინდექსის მაჩვენებლების თითოეული კრიტერიუმის რომელი პუნქტი საჭიროებს განსაკუთრებულ ძალისხმევას და რატომ?
- როგორ უწყობს ხელს კანონის უზენაესობა და საზოგადოების სამართლებრივი კულტურა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი, მაგალითად, პრეზენტაციის შემთხვევაში ინფორმაციის ორგანიზებისათვის შესაძლებელია შევთავაზოთ მოცემული სქემა, (თითო სლაიდი თითო კრიტერიუმის წარმოსადგენად რომ გამოიყენოს და ბოლოს შეაჯამოს/განაზოგადოს საკითხი) ან მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ დავალების წარმოსადგენი შესაბამისი ფორმა.

კრიტერიუმი	პრიორიტეტულად გასაუმჯობესებელი მიმართულება	თქვენი მოსაზრებები/მიგნებები
1. მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა		
2. კორუფციის არარსებობა		
3. ღია მმართველობა		
4. ფუნდამენტური უფლებები		
5. წესრიგი და უსაფრთხოება		
6. სარეგულაციო აღსრულება		
7. სამოქალაქო მართლმსაჯულება		
8. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება		
რა პოზიტიურ გავლენას ახდენს ადამიანზე მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებაში ცხოვრება/თანაარსებობა?		

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა

შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს ჩაწერონ დამღეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ § 9 და § 10-ში მოცემულ საინტერესო მასალას, კონკრეტულ ფაქტებსა და მაგალითებს. აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. როგორ უკავშირდება ქვეყნის კანონის უზენაესობის ინდექსი მდგრადი განვითარების მიზნებს (გარემოს დაცვა; ეკონომიკური განვითარება; სოციალური კეთილდღეობა) და მისი მიღწევის შესაძლებლობებს?

აქტივობა 1. წყლის დაბინძურების შემთხვევების გაცნობა, განხილვა და დისკუსია (მოსწ. სახ. გვ. 130-134)

კითხვები და დავალებები:

როგორ ფიქრობთ, როგორ ხვდება ასეთი რაოდენობით საყოფაცხოვრებო ნარჩენები ზღვაში და შემდგომ სანაპიროზე? როგორ აისახება ეს დაბინძურება ადამიანების ჯანმრთელობაზე?

როგორ ფიქრობთ, რა პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან გარემოს ასეთი დაბინძურების აღსაკვეთად?

იმსჯელეთ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლში მითითებული ნორმების ცხოვრებაში გათვალისწინება?

რა განაპირობებს ადამიანების ასეთ განსხვავებულ დამოკიდებულებას ტექსტში აღნიშნული გარემოსდაცვითი პრობლემისადმი?

რით არის გამოწვეული დანაშაული, კანონების არცოდნით თუ საკანონმდებლო ნორმების არაღიარებით?

მოიფიქრეთ კონკრეტული გზა, როგორ შეიძლება შეიცვალოს გარემოსადმი უდიერი დამოკიდებულება.

რესურსი:

- წყარო: ჩვენ ნაგავს ვყრით ზღვაში, ზღვა კი უკან გვიბრუნებს „სახლში“, მოპოვებულია https://yourshot.nationalgeographic.ge/planeta-tu-plasmasa/?contest=photo-detail&photo_id=911;
- წყარო: ფარულავა, დათო, „როგორ შევამციროთ შავი ზღვის პლასტმასით დაბინძურება“, „ლიბერალი“. 29 აპრილი, 2019. მოპოვებულია <http://liberali.ge/articles/view/44728/rogor-shevamtsirot-shavi-zghvis-plastmasit-dabindzureba>
- წყარო: მელია, რუსუდან, ხვედელიძე, ნინო, „მზე, წყალი და...ნაგავი! - რატომ დაემსგავსა თბილისის ზღვა ნაგავსაყრელს?“ „კვირის პალიტრა“. 06 ივლისი, 2015. მოპოვებულია <https://kvirispalitra.ge/article/25706-mze-tsyali-danagavi/>
- მდგრადი განვითარების მიზნები (მიზანი 6)

აქტივობა 2. გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ჩატარება ადგილობრივ თემში და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვა. (მოსწ. სახ. გვ. 135-139)

კითხვები და დავალებები:

ჩაატარეთ თქვენს ქალაქში/უბანში/დაბაში/სოფელში ე.წ. **მონიტორინგი**: გადაულეთ ფოტო გარემოს დაბინძურების ყველა შემთხვევას, **გააკეთეთ დასკვნა**: ყველაზე ხშირად რა ტიპის დარღვევასა აქვს ადგილი და ჯერ პრევენტიაციის სახით წარადგინეთ კლასის წინაშე, შემდეგ კი სოციალურ ქსელში განათავსეთ, სადაც გამოხატავთ თქვენს დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, განსაზღვრეთ/აღნიშნეთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამგვარი შემთხვევები შემცირდეს.

იმსჯელეთ: რა უნდა გააკეთოს მოსახლეობამ, იმისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ 2030 წლამდე მდგრადი განვითარების მეთორმეტე მიზანს მიაღწიოს? ისაუბრეთ თქვენს როლზე ამ საქმეში. შეადგინეთ კონკრეტული ღონისძიებების სტრატეგიული გეგმა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და წარადგინეთ კლასის წინაშე.

რესურსი:

- წყარო: ფრანგიშვილი, ია, „წელს ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ყველაზე მეტი ფაქტი აჭარაში დაფიქსირდა“, „ბათუმელები“, მოპოვებულია <https://batumelebi.netgazeti.ge/news/404137/>
- რა დრო სჭირდება სხვადასხვა ტიპის ნარჩენების დაშლას. მოპოვებულია <https://imedinews.ge/ge/teqnologiebi/79661/ra-dro-schirdeba-skhvadaskhva-tipis-narchenebis-dashlas-grapika>
- ნარჩენების მართვა. მოპოვებულია <https://cutt.ly/rZqQldq>; ნარჩენების მართვა დ მისი მნიშვნელობა (isoconsulting.ge)
- საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი (მუხლი 1; 8)
- მდგრადი განვითარების მიზნები (მიზანი 12)

აქტივობა 3. წყლის დაბინძურების საფუძვლების და შედეგების, ასევე პრობლემის მოგვარების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა ცხრილის გამოყენებით. (მოსწ. სახ. გვ. 140)

კითხვები და დავალებები:

- თქვენი აზრით, რა შედეგებამდე მიგყავართ წყლის დაბინძურებას?
- როგორ ავიცილოთ თავიდან ის?

ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ. დაასახელეთ წყლის დაბინძურების საფუძვლები (რითი ბინძურდება წყალი - მდინარე, ზღვა, ოკეანე) და შედეგები, ჩამოწერეთ ამ პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები.

დაბინძურების საფუძვლები	შედეგები
პრობლემის მოგვარების გზები/საშუალებები	

რესურსი:

- წყარო: ოქრუაშვილი, რ., „შავი ზღვის დაბინძურების 3 ფაქტი გამოვლინდა“. 16 ივნისი, 2022. მოპოვებულია <https://gurianews.com/shavi-zghvis-dabindzurebis-phaqtebi-phothsa-da-bathumshi/>
- მდგრადი განვითარების მიზნები (მიზანი 14)
- გარემოდ ადამიანი: როგორავიციოთწყლის დაბინძურება (gadavarchinotbuneba.blogspot.com)
- როგორავიციოთავიდან წყლის დაბინძურება? ▶ ➔ პოსტპოსმი | პოსტპოსმი (postposmo.com)

აქტივობა 4. საინფორმაციო კამპანიისთვის ფლაერების დამზადება

კითხვები და დავალებები:

- საბუნებისმეტყველო საგნებიდან გაიხსენეთ ინფორმაცია ეკოსისტემების, მათი დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე.
- თუ იცით ნადირობისა და თევზაობის სეზონის შესახებ - სად, როდის, როგორ შეიძლება ნადირობა? რატომაა მნიშვნელოვანი ამ ინფორმაციის ცოდნა?
- რატომაა მნიშვნელოვანი შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა?
- სახელმძღვანელოში (მოსწ. სახ. გვ. 141-145) მოცემული შემთხვევების გაცნობისა და განხილვის შემდეგ ჩამოაყალიბეთ საკვანძო შეკითხვები, რომელიც მიემართება კონკრეტულ შემთხვევებს და დაუსვით მეწყვილეს ან კლასს.

დავალება

სახელმძღვანელოში განხილული მაგალითებისა და სტატისტიკური მონაცემების გააზრებიდან გამომდინარე, შეარჩიეთ თქვენ ირგვლივ ყველაზე საჭირობო საკითხი და შექმენით საინფორმაციო ფლაერი ადგილობრივ საზოგადოებაში გასავრცელებლად. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვის მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ.

რესურსი:

- წყარო: „სამეგრელო-ზემო სვანეთში ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი გამოავლინეს“, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. 20 მაისი 2022. მოპოვებულია <https://www.ghn.ge/news/263557-samegrelo-zemo-svanetshi-khe-tqis-ukanono-chris-fakti-gamoavlines>
- მდგრადი განვითარების მიზნები (მიზანი 15)
- „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკანონო თევზჭერის 21 ფაქტი გამოავლინეს“, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. 28 ივნისი, 2022. მოპოვებულია <https://www.ghn.ge/news/286265-garemosdatsviti-zedamkhedvelobis-departamentis-tanamshromlebma-ukanono-tevzcheris-21-fakti-gamoavlines>
- შველზე ბრაკონიერობის ფაქტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. 2017. მოპოვებულია https://netgazeti.ge/news/171686/?fb_comment_id=2332308540177923_2333546913387419
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვებგვერდი <https://des.gov.ge/ge/Faq>
- „სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის დაწვა 500-დან 1 300 ლარამდე ჯარიმით ისჯება“. 19 ივლისი 2022. მოპოვებულია <https://des.gov.ge/Ge/News/Details/10716>;
- ნარჩენების ეფექტური მართვა. 2019. მოპოვებულია <https://cutt.ly/rZqOldq>
- „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში“. 2021. მოპოვებულია <https://des.gov.ge/Ge/Reports>

აქტივობა 5. შეფასებითი დასკვნის შემუშავება (მოსწ. სახ. გვ. 145-146)

დავალება:

შეაფასეთ ფოთში შექმნილი ვითარება. როგორ ფიქრობთ, საკმარისია მხოლოდ ჯარიმების გადახდა? შესაძლებელია თუ არა შეფასდეს ის ზიანი, რაც მოაქვს გარემოს დაზინძურებას და რომელიც პირდაპირ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე, შესაძლებელია შეფასდეს? თქვენი აზრით, რაში ხედავთ გამოსავალს?

აქტივობა 6. ესე „დარგე ხე, იმიტომ რომ...“ (მოსწ. სახ. გვ. 147)

კითხვები და დავალებები:

როგორ ფიქრობთ, რატომ არის საჭირო ტყის მასივების გაშენება?

მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ სკოლის ადმინისტრაციასთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით გამწვანების აქციის ორგანიზება. თქვენთან ერთად

შეარჩიონ ტერიტორია, მოიპოვონ ნერგები და გააშენონ. აიღონ პასუხისმგებლობა ხეების მოვლასა და პატრონობაზე.

დაწერეთ არგუმენტირებული ესე: **დარგე ხე, იმიტომ რომ...**

რესურსი:

- წყარო: „დარგე ხე, იმიტომ რომ...“ საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. 01 აპრილი 2013. მოპოვებულია <https://www.ghn.ge/news/86052>

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების აქტიურ მონაწილედ მიიჩნიოს თავი. ამისათვის მოსწავლეთა მზაობიდან გამომდინარე შესაძლებელია ისეთი მარტივი აქტივობების შეთავაზება/განხორციელება როგორცაა: ნარჩენების დახარისხება; ფოთლების, ტოტებისა და ნარჩენების დაწვაზე უარის იდეის ადვოკატირება; სოფლის ტიპის დასახლების შემთხვევაში ორგანული ნარჩენებისთვის კომპოსტის ყუთის გაკეთება და ა.შ. კომპოსტის დამზადების შემთხვევაში შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი რესურსით: „კომპოსტი და მისი მომზადება“. 2019. <https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2020/08/1557339867.pdf>

ნაბიჯი 2. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი და სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყანაში/მსოფლიოში სამართლიანი, მშვიდობიანი და ჰარმონიული გარემოს დამკვიდრებაში?

აქტივობა 7. შემთხვევის განხილვა და მსჯელობა. (მოსწ. სახ. გვ. 148-149)

კითხვები:

- რა განაპირობებს ხალხის ნდობას სახელისუფლო ინსტიტუციებისადმი?
- რამდენად თვლით საჭიროდ საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობას?
- თქვენ როგორი განწყობა დაგეუფლებოდათ, თქვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთი რომ დასჭირვებოდა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ასაშენებლად?
- რამდენად სამართლიანია მოქალაქეების კუთვნილი მიწის ფართობების სახელმწიფოსათვის გადაცემის კანონით დავალდებულება? რატომ?
- რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება მსგავსი დილემების გადასაჭრელად? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

რესურსი:

- წყარო: „პროკურატურამ უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთების დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო“, 1tv.ge საზოგადოებრივი მაუწყებელი. 08.06.2022. მოპოვებულია

<https://t.ly/zUCy>

- მდგრადი განვითარების მიზნები (მიზანი 16)

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სახელმძღვანელოში სარეკომენდაციოდ შემოთავაზებულია კონკრეტული შემთხვევა, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეებისთვის სამართლის აღსრულების პროცესის მნიშვნელობის და უფლებების დაცვისათვის საჭირო ინფორმაციის გააზრებაში. მოსწავლეებს თავდაპირველად შეკითხვების საშუალებით ვაძლევთ დაფიქრებისა და მსჯელობის საშუალებას და მხოლოდ მას მერე ვთავაზობთ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გააზრებას.

აქტივობა 8. შემთხვევის განხილვა და მსჯელობა. (მოსწ. სახ. გვ. 150-151)

დავალბა:

ყურადღებით გაეცანით ჩადენილი დანაშაულის ყველა დეტალს და **იმსჯელეთ**, რა საშიშროებას უქმნის ასეთი გარიგებები სახელმწიფოს და საზოგადოებას.

რესურსი:

- წყარო: „ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა სამი პირი დააკავეს“, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებ-გვერდი. 19.07.2021. მოპოვებულია <https://ssg.gov.ge/news/704/antikorufciuli-saagentos-tanamshromlebma-sami-piri-daakaves>

აქტივობა 9. გამოკითხვის ჩატარება და კორუფციასთან ბრძოლის გზების ჩამოყალიბება (მოსწ. სახ. გვ. 151-153)

კითხვები და დავალებები:

გაეცანით ინფორმაციას „ცოტა რამ ისტორიიდან“;

იმსჯელეთ: რატომ იყო და არის ასეთი პრობლემა კორუფცია და მასთან ბრძოლა? რა განსაზღვრავს მის არსებობა-არარსებობას?

გამოიკითხეთ ოჯახის წევრები და უფროსი თაობის ადამიანები, თუ ჰქონიათ შეხება ან სმენიათ კორუფციის ფაქტების შესახებ, **ჩაინიშნეთ**, რა შემთხვევებს გაიხსენებენ და ჰკითხეთ, რას გრძნობდნენ, რას განიცდიდნენ.

დაფიქრდით, თქვენ როგორ მოიქცეოდით მსგავს შემთხვევებში?

კორუფციასთან ბრძოლის რა გზებს მიმართავდით?

როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვს სახელმწიფოს და საზოგადოებას კორუფციასთან ბრძოლის საქმეში? თქვენი მოსაზრებები გაუზიარეთ კლასს.

- რა როლი აქვს პრობლემის მოგვარებაში ინფორმაციის საჯაროობას, მის გამოთხოვასთან დაკავშირებულ ვადებს?
- **როგორ ფიქრობთ**, რა ზომები უნდა გატარდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის?
- ეთანხმებით იმ აზრს, რომ ამ ინსტიტუტის არსებობა გამოასწორებს ინფორმაციის მოპოვების პროცესში არსებულ ხარვეზებს და დაბრკოლებებს?
- თქვენი აზრით, რა უშლის ხელს ინფორმაციის თავისუფლების ინსპექტორის ინსტიტუტის დამკვიდრებას?

რესურსი:

- კორუფციის ისტორიიდან. მოპოვებულია <http://genia.ge/?p=10547&fbclid=IwAR08syxXkPqaoNQRruGKMg6FyXhZ6htw7E8A9L2-MnNtI86PN3eo-0WWSqE>
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფლება სამართლიან სასამართლოზე, 2022. მოპოვებულია

<https://idfi.ge/ge/access-to-public-information-and-the-right-to-a-fair-trial>

აქტივობა 10. საკანონმდებლო წინადადების შემუშავება

კითხვები და დავალებები:

გაეცანით საკანონმდებლო წინადადების მაგალითს და **იმსჯელეთ:** რამდენად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო წინადადება დააყენეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა პარლამენტის წინაშე? რას დააზუსტებდით ან როგორ არგუმენტს დაამატებდით თქვენ?

თქვენ უკვე გაეცანით საქართველოში სხვადასხვა სამართლებრივ სფეროში არსებულ მდგომარეობას, სამართალდარღვევებსა და ადამიანთა სხვადასხვა უფლებრივ მდგომარეობას.

იმუშავეთ ჯგუფებში: შეარჩიეთ საკანონმდებლო თვალსაზრისით, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა და **შეიმუშავეთ** საკანონმდებლო წინადადება.

დაასაბუთეთ პრობლემის აქტუალობა, მისი უარყოფითი ზეგავლენა საზოგადოებაზე, ასევე დასახეთ ამ პრობლემის სამართლებრივად გადაჭრის გზები (საკანონმდებლო ნორმების ჩამოყალიბება, არსებულში ცვლილების შეტანა ან გაუქმება).

თითოეულმა ჯგუფმა კლასს წარუდგინეთ თქვენი ნაშრომი პრეზენტაციის თქვენთვის სასურველი ფორმით.

იმსჯელეთ თითოეულ საკანონმდებლო წინადადებაზე და ავტორთა ჯგუფს მიეცით რეკომენდაციები.

რესურსები:

- საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე შექმნილი ელექტრონული სივრცე <https://parliament.ge/get-involved>
- განმარტებითი ბარათი კანონპროექტისთვის <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/164046>
- საკანონმდებლო წინადადება „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (მოსწ. სახ. გვ. 151)

ეტაპი III - კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე, თითოეული მოსწავლე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და დილემებზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

თვითშეფასება, თემის შეჯამება

სამართლებრივი კულტურის თემის შესწავლის დასასრულს მოსწავლეებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისათვის ვაძლევთ თვითშეფასების შესაძლებლობას. ეს მათ დაეხმარებათ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად, რეალური ცვლილებების განსახორციელებლად მომზადებასა და განვითარების გზების მოძიებაში.

თვითშეფასებამდე მოსწავლეები დააფიქრეთ შემდეგი მიმართულებით:

- როგორ წარიმართა სამართლებრივი კულტურის თემაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერთ? რატომ ვერ გადაჭერთ? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რა იყო ყველაზე საინტერესო თქვენთვის ამ თემაში? რატომ?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?
- რას უსურვებდით საკუთარ თავს და თქვენს თანაკლასელებს?
- კიდევ რისი სწავლა, რა საკითხზე/საკითხებზე მუშაობა გაამდიდრებს თქვენს ცოდნას მოცემულ თემასთან დაკავშირებით?

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით

პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს სწავლა-სწავლების პროცესი:

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოთხოვნები მეთოდოლოგიურ ორიენტირებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია 5 საგანმანათლებლო პრინციპის სახით:

- 1) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;
- 2) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- 3) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;
- 4) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას);
- 5) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

მეტაკოგნიცია და ფუნქციური/კომპონენტური უნარები

ეროვნული სასწავლო გეგმა გამოკვეთს 6 ფუნქციურ უნარს და მათთან დაკავშირებულ კოგნიტურ ოპერაციებს, რომლებზე სპეციალური ყურადღების გამახვილების გარეშე ვერ მოხერხდება სამიზნე ცნებების განვითარება. ამ უნარებზე მუშაობა ყველა საგნის მასწავლებელს მოეთხოვება ყველა საფეხურზე, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ყველა კომპლექსური დავალება გულისხმობს საკვანძო შეკითხვის განსაზღვრასაც, რომელზე ფიქრიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ქვემოთ მოცემულია ცხრილები თითოეულ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებთან დაკავშირებით: ისინი მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების წარმოებაში დაეხმარება.

ფუნქციური უნარი - კრიტიკული აზროვნება	კოგნიტური ოპერაციები / კომპონენტები
დაკვირვება	გახსენება ამოცნობა
კანონზომიერების აღმოჩენა და განზოგადება	შედარება და დაპირისპირება (კონტრასტი) კლასიფიცირება რელევანტური და არარელევანტური ინფორმაციის იდენტიფიცირება
დასკვნების ჩამოყალიბება კანონზომიერებების საფუძველზე	პირველადი დასკვნა ვარაუდის გამოთქმა
დასკვნების შეფასება დაკვირვების საფუძველზე	თანმიმდევრულობის შემოწმება ტენდენციურობის, სტერეოტიპების, კლიშეებისა და პროპაგანდის იდენტიფიცირება უსაფუძვლო დაშვებების იდენტიფიცირება გადამეტებული განზოგადების ან მცირედ განზოგადების ამოცნობა დასკვნების ფაქტებით დადასტურება

ფუნქციური უნარი - შემოქმედებითობა	კოგნიტური ოპერაციები/კომპონენტები
თავისუფლად აზროვნება	კითხვების დასმა იდეების გენერირება; პრობლემის გადაჭრის გზების დასახელება; ალტერნატიული პასუხების ძიება და პრობლემის გადაჭრის გზების შემოთავაზება
ფლექსიურობა	პრობლემის დანახვა და შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან მოდგომების მრავალფეროვნება (approach)
ორიგინალობა	უნიკალური და ახალი იდეის გენერირება სხვადასხვა ელემენტისგან უნიკალური კომბინაციების შექმნა
დეტალებზე ყურადღების გამახვილება	იდეების განვითარება და გამდიდრება დეტალიზაციის ხარჯზე

ფუნქციური უნარი - კომუნიკაცია	კოგნიტური ოპერაციები/კომპონენტები
ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვა	მიზნობრიობა (ინფორმირება, ინსტრუქტირება, მოტივირება, დარწმუნება) მეტყველების ტიპის შერჩევა - აღწერა, თხრობა, მსჯელობა აქტიური მოსმენა (კავშირის დამყარება, ნდობის მოპოვება, დიალოგში გაყოლა (ანუ მონიტორინგი), მიზნობრივი ფრაგმენტულობა) კონტექსტუალიზება (საკომუნიკაციო სიტუაციის გაანალიზება და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევა (სათანადო ფუნქციური სამეტყველო ქმედების გამოყენება) არავერბალური სიგნალები (სხეულის ენა, მიმიკა, ქესტიკულაცია და ა.შ.)
თავდაჯერებულობა	ღიაობა კეთილგანწყობა
ემპათია (სხვის თვალთა დანახვა)	თვითრეფლექსია/უკუკავშირი ურთიერთობის მონიტორინგი
ადიარება	თანასწორობა პასუხისმგებლობა ტოლერანტობა (განსხვავებულის მიმდებლობა) ორიენტაცია პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ სუბიექტზე

ფუნქციური უნარი - თანამშრომლობა	კოგნიტური ოპერაციები/კომპონენტები
ერთად მუშაობა	პირისპირ და ტექნოლოგიების გამოყენებით იდეებისა და რესურსების გაზიარების გზით
საერთო პასუხისმგებლობა	საერთო მიზანი ანგარიშვალდებულება შედეგთან მიმართებით

არსებითი გადაწყვეტილებები (შინაარსი, პროცესი, პროდუქტი)	წინარე ცოდნის გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების მიზნით
	როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება
	პროდუქტის დიზაინი, ბუნება და გამოყენებითობა
	ურთიერთდამოკიდებულობა (ანგარიშვალდებულების ორი დონე - ინდივიდუალური და ჯგუფური)

ფუნქციური უნარი - მოქალაქეობა	კოგნიტური ოპერაციები/კომპონენტები
უზენაესი ეთიკის პრინციპები	ადამიანის ღირსება
	გაურკვევლობებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება
ანგარიშვალდებულება საზოგადოებისადმი და თანაშემოქმედებითობა	პასუხისმგებლობა
	კონფლიქტების მართვა
	კანონის უზენაესობის დაფასება
თემის პრიორიტეტების გააზრება	ლოკალური თემისთვის აქტუალური პრობლემები
	ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემები;
	მსოფლიოს ცოდნა და შემეცნება

ფუნქციური/კომპონენტური უნარი - ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა	კოგნიტური ოპერაციები/კომპონენტები
იდენტობა	საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება (ვინ ვარ მე)
	გადაწყვეტილების მიღება თვითრეალიზაციისთვის (რასთან ვაფილირდები)
თვითრეგულაცია	მიზნების დასახვა
	დაგეგმვა
	თვითეფექტურობის განცდა
	სწავლის სტრატეგიები
	მონიტორინგი და შეფასება
	დახმარებისთვის სხვებისთვის მიმართვა
თვითაქტუალიზაცია	ენტუზიაზმი ყველა საქმის მიმართ
	ავტონომიურობა
	საკუთარი თავის პოზიტიური შეფასება
	ადამიანებისა და სამყაროს მიმართ კეთილგანწყობა
	პროცესზე ორიენტირებულობა

ფუნქციურ უნარებზე მუშაობა არ ხდება იზოლირებულად. მოსწავლეს თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში უწევს მათი სინერგიული გამოყენება. ფუნქციურ-კომპონენტური უნარები საკითხის ღრმად გააზრების საშუალებას წარმოადგენს, თუმცა, მეორე მხრივ, საკითხი თავად წარმოადგენს მათი განვითარების საშუალებას.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს **მეტაკოგნიციაზე**. მეტაკოგნიცია არის აზროვნების პროცესების მონიტორინგი და მართვა (კონტროლი). იმისათვის, რომ მოსწავლემ წარმატებით მართოს აზროვნების პროცესები, მან უნდა შეძლოს დამოკიდებულების (ყოფა-ქცევის) და გრძნობების მართვაც - ამ პროცესს თვითრეგულირება ჰქვია.

მეტაკოგნიციის უნარების განვითარებისთვის მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

- **სტრატეგიების მოდელირება** - მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმდები მასალა, მაგ., სურათები? სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).
- **წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე** - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.
- **შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე** - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებსა და ქმედობათმართლობას.

სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში საჭიროა, ასევე, ზრუნვა **თვითრეგულირების** უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მოსწავლემ პერიოდულად შემდეგი კითხვები უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

სტრატეგია: ოდესმე თუ გამომიყენებია ეს სტრატეგია წარმატებულად? რატომ გამოდგა ეს სტრატეგია წარმატებული? როგორ დავრწმუნდე, რომ ამჯერადაც წარმატებულად გამოვიყენებ ამა თუ იმ სტრატეგიას?

კომპლექსური დავალების დროს: როგორ ვართმევ დავალებას თავს? ზოგადად ამგვარ დავალებებში რა შეცდომებს ვუშვებ? როგორ ავარიდო თავი ამ შეცდომებს? ამ კომპლექსურ დავალებაში რა მიჭირს ყველაზე მეტად? რა არის ყველაზე რთული? რატომ? რა გამომდის კარგად და რატომ?

მოტივაცია: კომპლექსური დავალების შესრულების დროს როგორ ვგრძნობ თავს? ვარ მოტივირებული, რომ შევასრულო დავალება მაღალ ხარისხზე? რა შემთხვევაში მოვიმოქმედო ახლა მოტივაციის ასამაღლებლად? დავალების შესრულების შემდგომ: როგორ ვიყო უფრო მოტივირებული შემდგომი კომპლექსური დავალებისთვის?

თვითრეგულირებული სწავლისთვის საჭიროა მოსწავლემ მოახდინოს რეფლექსია შემდეგ კითხვებზე:

- რა ვისწავლე დღეს/ამ კვირაში/ამ სემესტრში?

- რა გრძნობა მეუფლება, როდესაც ვიცი, რომ რაღაც ახალი შევიმეცნე?
- რა დრო დაიჭირდა გარკვეული საკითხის სასწავლად? დაიჭირდა თუ არა უფრო მეტი, ვიდრე თავიდან მეგონა?
- რა სხვაობაა სწავლასა და დამახსოვრებას შორის?
- რა სტრატეგიების გამოყენება შემიძლია, რომ უკეთ დავიმახსოვრო ფაქტები?

როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლის მიღწევები?

სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოსწავლის შეფასება. სწავლება და შეფასება ერთი მედლის ორი მხარეა და არ წარმოადგენს ერთმანეთისგან იზოლირებულ ორ კომპონენტს. მოსწავლე შეიძლება შეფასდეს უშუალოდ სასწავლო პროცესში, სპეციალურად დანიშნული გამოკითხვებისა და საკონტროლო წერების გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ განმავითარებელ შეფასებაში შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეც. მაგალითად, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გასცენ და მიიღონ უკუკავშირი თავიანთი თანაკლესელებისგან და ასევე აქტიურად გამოიყენონ მეტაკოგნიტური და კოგნიტური სტრატეგიები თვითშეფასების მიზნით.

სწავლის პროცესის შეფასებაში ამგვარი ჩართულობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი?	საკლასო შეფასება	
	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
შეფასების ფორმები და შემფასებლები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, ცოდნის/გაგების შემამოწმებელი კითხვები, რუბრიკები, ქვიზები და ა.შ. მოსწავლეები: თვითშეფასება, თვითრეგულირებული სწავლა (მეტაკოგნიცია და თვითრეგულაცია), ურთიერთშეფასება	მასწავლებელი: ქულით ან/და კომენტარით შეფასებული შემაჯამებელი შეფასებები (ქულას შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით)
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. კურიკულუმის, გამოყენებული ინსტრუქციული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება და ა.შ.

	ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია ყოველი განმსაზღვრელი შეფასების შედეგი, იქნება ეს ნიშანი თუ რეკომენდაცია, გამოყენებული იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.

განმავითარებელი შეფასების წარმოებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს განმავითარებელი შეფასების 5 სტრატეგია/ფაქტორი:

- რომელ მიზანზეა (გრძელვადიანი/შუალედური) ორიენტირებული განმავითარებელი შეფასება;
- რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას?
- რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობად?
- რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს?
- რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს?

	საით მიემართება მოსწავლე	რა ეტაპზეა ახლა მოსწავლე	როგორ მივაღწიოთ მიზანს
მასწავლებელი	რა სასწავლო მიზნებთან, მათ შორის გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირთან, მიმართებით ყალიბდება განმავითარებელი შეფასება?	რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას?	რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობად?
თანატოლი		რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს?	
მოსწავლე		რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს?	

განმავითარებელი შეფასების ნაწილს წარმოადგენს ასევე მასწავლებლის თვითრეფლექსია, ანუ იმის ანალიზი, თუ რამდენად მოახდინა მასწავლებლის საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე; რა უნდა იქნას გათვალისწინებული შემდგომ პერიოდში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

განმავითარებელი შეფასება		
მიზნობრივი ორიენტირი	მეტაკოგნიცია	ფუნქციური/კომპონენტური უნარები
მოსწავლის მიღწევების აღწერა - რჩევა მოსწავლეებს- მასწავლებლის თვითრეფლექსია -		

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მოსწავლის მიღწევების გაანალიზებაში მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ზემოთ ნახსენები ტაქსონომია, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ საკითხთან მიმართებით სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი აღიწერება.

განმსაზღვრელი შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ორი მოდელი გამოიყენება.

მოდელი 1 - ნიშანი იწერება მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, ხოლო სემესტრული ქულა გამოითვლება ამ სამი კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

მოდელი 2 - ნიშანი იწერება მხოლოდ შემაჯამებელ დავალებებში. მათ რაოდენობას თავად სკოლა განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

სკოლას უფლება აქვს სხვადასხვა კლასში, სხვადასხვა საგანში განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა მოდელი გამოიყენოს.

ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა ნიუანსები უნდა შეფასდეს ნიშნით სწავლა-სწავლების პროცესში.

ზოგადი კრიტერიუმი (ზოგადი)	შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული)	ქულა	კომენტარი
მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში	მოსწავლემ მართებულად გაიგო კომპლექსური დავალების პირობა.		
მოსწავლე ამჟღავნებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას; პროცედურული ცოდნის გამოყენებით განაზოგადებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.	საგნობრივი საკითხი/საკითხები :		
მოსწავლეს შეუძლია განაზოგადოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის სახით ჩამოყალიბებული მოსაზრებები.	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 1.		
	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 2.		

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ განმავითარებელი კომენტარისთვის კონკრეტული საკითხების ფარგლებში სამიზნე ცნებებთან მიმართებით მოსწავლის მიღწევების აღსაწერად. განმავითარებელი კომენტარი მასწავლებელმა სხვადასხვა სამიზნე ცნებასთან მიმართებით სწავლა-სწავლების პროცესში პერმანენტულად უნდა აკეთოს.

ცხრილის პირველ ჰორიზონტალურ, სატიტულო უჯრაში მოცემული ინფორმაცია ხაზს უსვამს იმას, რომ:

- ამ ფორმით ფასდება ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად;
- მოსწავლეები ფასდებიან გრძელვადიან მიზნებთან ანუ საგნობრივ სამიზნე ცნებებთან მიმართებით;
- საგნობრივ ცნებაზე მუშაობა ხდება კონკრეტულ (და არა ზოგად) საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით;
- საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლის ცოდნა მოწმდება კომპლექსური დავალების საშუალებით.

ცისფერ ჰორიზონტალურ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნებები (აქ მოიაზრება იმდენი ვერტიკალური სვეტი, რამდენი სამიზნე ცნებაცაა კონკრეტულ საგანში), ხოლო ცისფერ ვერტიკალურ სვეტში მოცემულია ამ სამიზნე ცნებების გააზრების დონეები (ბიგსის SOLO ტაქსონომიის მიხედვით). ცისფერ სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა, ხოლო ცნებისა და დონის კვეთაზე ეს აღწერილობები დაკონკრეტდება კომპლექსური დავალების პირობის (ანუ, რა მოეთხოვება მოსწავლეს) შესაბამისად.

თემა -----სამართლებრივი კულტურა-----				
საკითხი/საკითხები-----				
კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	I კომპლექსური დავალება ცნება: საზოგადოება	II კომპლექსური დავალება ცნება: დემოკრატია	III კომპლექსური დავალება ცნება: სამოქალაქო მონაწილეობა	IV კომპლექსური დავალება ცნება: მდგრადი განვითარება
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალ იზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების	მოსწავლე ნაშრომში აანალიზებს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, აკეთებს განზოგადებებს საკითხის „სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი“ შესაბამისად, ურთიერთდაკავში რებულად მსჯელობს	მოსწავლე ნაშრომში აანალიზებს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, აკეთებს განზოგადებებს საკითხის „დანაშაული და მართლმსაჯულება“ შესაბამისად, ურთიერთდაკავშირე ბულად მსჯელობს მოქალაქეობის საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა	მოსწავლე ნაშრომში აანალიზებს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, აკეთებს განზოგადებებს საკითხის „ადამიანის უფლებები და სამართლებრივი პასუხისმგებლობე ბი“ შესაბამისად, ურთიერთდაკავში რებულად	მოსწავლე ნაშრომში აანალიზებს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, აკეთებს განზოგადებებს საკითხის „სამართლებრივისა ხელმწიფო, საზოგადოება და მდგრადი განვითარების მიზნები“ შესაბამისად,

საშუალებას აძლევს უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოქალაქეობის საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე, მოჰყავს ანალოგიები პირადი გამოცდილებიდან, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან, ლიტერატურიდან და ა.შ.	სამიზნე ცნებაზე, მოჰყავს ანალოგიები პირადი გამოცდილებიდან, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან, ლიტერატურიდან და ა.შ.	მსჯელობს მოქალაქეობის საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე, მოჰყავს ანალოგიები პირადი გამოცდილებიდან, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან, ლიტერატურიდან და ა.შ.	ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს მოქალაქეობის საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე, მოჰყავს ანალოგიები პირადი გამოცდილებიდან, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან, ლიტერატურიდან და ა.შ.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლე ნაშრომში მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს საზოგადოების სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების და კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. მოსწავლის ნაშრომში გაანალიზებულია ადამიანის, მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მნიშვნელობა. მსჯელობისას მოყვანილია ანალოგიები.	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს დემოკრატიის სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების და კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. მოსწავლის ნაშრომში გაანალიზებულია ადამიანის, მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის მნიშვნელობა. მსჯელობისას მოყვანილია ანალოგიები.	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამოქალაქო მონაწილეობის სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების და კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. მოსწავლის ნაშრომში გაანალიზებულია ადამიანის უფლებების დაცვაში სამართლებრივი პასუხისმგებლობები ის და სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობა. მსჯელობისას მოყვანილია ანალოგიები.	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს მდგრადი განვითარების სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების და კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). მოსწავლის ნაშრომში გაანალიზებულია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობა მსჯელობისას მოყვანილია ანალოგიები.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე,	მოსწავლეს აქვს რამდენიმე ასოციაცია სამართლებრივი სახელმწიფოს,	მოსწავლეს აქვს რამდენიმე ასოციაცია ადამიანის, მართლმსაჯულების,	მოსწავლეს აქვს რამდენიმე ასოციაცია ადამიანის უფლებების	მოსწავლეს აქვს რამდენიმე ასოციაცია მდგრადი განვითარების

ერთმანეთთან დაუკავშირებელი , უსისტემო ასოციაცია/წარმო დგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	კანონის უზენაესობის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობასთან მიმართებით, თუმცა, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.	საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საკითხთან მიმართებით, თუმცა, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.	დაცვაში სამართლებრივ პასუხისმგებლობებთან მიმართებით, თუმცა, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.	მიზნების მიღწევაში საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობასთან მიმართებით, თუმცა, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.
უნიტარუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმო დგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მსჯელობა სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის მნიშვნელობაზე, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა დანაშაულის და მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა ადამიანის უფლებების დაცვაში სამართლებრივ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობასთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი რეფლექსიით.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას; სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის მნიშვნელობას პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისთვის .	მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას; მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის მნიშვნელობას.	მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას; ადამიანის უფლებების დაცვაში სამართლებრივი პასუხისმგებლობების და სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობას.	მოსწავლე ვერ იგებს კომპლექსური დავალების პირობას; მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობას.

4. ლექსიკონი

ა

ადვოკატი – E. Advocate – 1. პირი, რომელიც პროფესიულ დონეზე წარმოადგენს სხვა პირს სასამართლოში. 2. ის, ვინც კომპანიის მხარდამჭერიცაა და, პარალელურად, აქტიურად უწყობს მას ხელს თავის რეფერენს-ჯგუფთან მუშაობაში. ასეთი კლიენტები ურჩევენ ამ კომპანიის მომსახურებას პარტნიორებს, თავის კლიენტებს, ახლობლებს, მეგობრებსა და სხვა მრავალს. ისინი აქტიურად არწმუნებენ სხვებს, რომ ამ კომპანიაში და მის პროდუქტებთან ურთიერთობა სასარგებლო და სასიამოვნოა. ისინი უარყოფენ ჩვენი კომპანიის საწინააღმდეგოდ მიმართულ ინფორმაციას და მიგვითითებენ ზრდის შესაძლებლობებზე. ესენი თქვენი „ნამდვილი მეგობრები“ არიან.

ავტოკრატია (ბერძნ. αὐτόκ, თვით და ბერძნ. κρατία, მართვა) — სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროს მთელი ძალაუფლება მხოლოდ ერთი ადამიანის ხელშია.

ანტისემიტიზმი – ებრაელთა მიმართ მიკერძოებული აზრი ან სიძულვილი; ანტისემიტიზმმა შეიძლება მიიღოს რელიგიური, ეკონომიკური ან რასობრივი ფორმა.

ბ

ბრაკონიერობა – უკანონო, არალეგალური ნადირობა.

ბრალდებული – 1. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართც გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილება უნდა შეიცავდეს იმ ქმედების აღწერას, რომლის ჩადენაც ბრალად ედება პირს, და მის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას. ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ბ-ს უფლება აქვს, ყველა კანონიერი შაშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის. ბრალდებულს აქვს ეჭვმიტანილის ყველა საპროცესო უფლება. 2. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 44).

დ

დეპორტაცია – E. Deportation – პირის იძულებითი გასახლება, გაძევება სხვა სახელმწიფოში. იგი ძირითადად გამოიყენება უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ გადმოლახეს სახელმწიფო საზღვარი. თუმცა ბოლო წლებში არცთუ იშვიათად ფართო მასშტაბით და აშკარად დანაშაულებრივად იყენებდნენ და იყენებენ ზოგიერთი სახელმწიფოს ტოტალიტარული რეჟიმები, მეტადრე კი აგრესიული სეპარატისტები, რომლებიც არაერთი რეგიონიდან დიდძალი მოსახლეობა გამოაძევეს ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით.

დილემა – რთული, გამწვანებული არჩევანი ორ შესაძლებელ ვარიანტს შორის.

ე

ექსპროპრიაცია – საკუთრების ჩამორთმევა ჩამორთმეული ქონების წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაციით.

ექსტრემისტი – უკიდურესი შეხედულებების მქონე, უკიდურესი ზომების მომხრე.

3

ვერდიქტი (E. verdict) – განაჩენი, გადაწყვეტილება (ჩვეულებრივ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი).

ო

იმპერატიული მოთხოვნა – მოთხოვნა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისების გარეშე. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები არ არიან უფლებამოსილი საწინააღმდეგოდ მოიქცნენ.

იმპერატიული ნორმა – ნორმა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისების გარეშე. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები არ არიან უფლებამოსილი საწინააღმდეგოდ მოიქცნენ.

პ

კონფიდენციალური (ლათ. confidentia ნდობა) – საიდუმლო, რისი გახმაურებაც არ შეიძლება.

ლ

ლეგიტიმურობა (E. Legitimacy) – ლეგიტიმურობის კონცეფცია ხელისუფლებასა და სამართალს შორის არსებულ ურთიერთობას მოიცავს. ის ხაზს უსვამს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, ანუ იმას, რაც უფლებას აძლევს სახელმწიფოს, განახორციელოს ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ, აგრეთვე იმ ხარისხს, რომლითაც ეს სახელმწიფოა აღიარებული. სახელმწიფო ლეგიტიმურია იმ ხარისხით, რამდენადაც ამას მისი მოქალაქენი აღიარებენ.

მ

მარგინალიზებული – საზოგადოების ძირითადი ნაწილისაგან გამიჯნული სოციალური ჯგუფი, რომელსაც აბსოლუტურად განსხვავებული ღირებულებები აქვს.

მემარცხენეობა – ტერმინი აღნიშნავს პოლიტიკური კურსის გამოხატვის რადიკალურ ან პროგრესულ გზას, მაგრამ თავდაპირველად მას პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა. 1789 წელს საფრანგეთში გენერალური შტატების მოწვევისას მდაბიო მოსახლეობა (მესამე ფენის – ქალაქთა კორპორაციების წარმომადგენლები) მეფისაგან მარცხნივ ისხდნენ, ხოლო თავად-აზნაურობას უფრო საპატიო მარჯვენა მხარე ეჭირა. მემარცხენეობის რეალური შინაარსი დროისა და ადგილის გავლენის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება და საკმაოდ არაერთგვაროვანია, მაგრამ როგორც წესი, ითვალისწინებს თანასწორუფლებიანობას, მუშათა (კარგად ორგანიზებულ) კლასზე დაყრდნობას, მრეწველობის ნაციონალიზაციის მხარდაჭერას, ნაციონალისტური საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებლობას. განსაზღვრება მემარცხენეობა გამოიყენება პოზიციების დასაფიქსირებლად როგორც ერთი პარტიის შიგნით, ასევე პარტიებს შორის. მემარცხენეთა ფრთას ეკუთვნიან სოციალისტები, რომელთაც უკიდურესი პოზიცია უკავიათ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიმართ.

მსჯავრდებული – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

ნ

ნორმატიული აქტი – 1. უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს და შესასრულებლად სავალდებულოა. საქართველოს ნორმატიული აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტი, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

2. მოიაზრება როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები. ყველა კანონი ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. განსხვავებული სიტუაციაა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან მიმართებით, ამიტომაც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1 (ე) ქვეპუნქტი ადგენს, რომ „ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს წარმოადგენს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.“

პ

პრევენცია – წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.

რ

რატიფიკაცია (Fr. Ratification) – პროცესი, რომლის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას

ს

საზოგადოებრივი უსაფრთხოება – პირთა უფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების, საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ურღვევობა.

სამართალდამცავი თანამდებობის პირი – ტერმინი მოიცავს ყველა დანიშნით ან არჩევით თანამდებობის პირს, რომელიც აღჭურვილია პოლიციური ძალაუფლებით, განსაკუთრებით დაკავების ან დაპატიმრების ძალაუფლებით. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიციურ ძალაუფლებას აგრეთვე ახორციელებენ სამხედრო ძალაუფლებას აგრეთვე ახორციელებენ სამხედრო ხელისუფალნი ანდა სახელმწიფო უშიშროების ძალები, სამართალდამცავი თანამდებობის პირის ცნება მოიცავს ამ სამსახურების თანამდებობის პირებსაც.

სამართლებრივი სახელმწიფო – 1. დემოკრატიული სახელმწიფო, რომლისთვისაც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია: კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა. სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე, დაუშვებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების აღრევა. უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები. 2. სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ადამიანსა და ხელისუფლებას შორის არსებობს მკაფიო, სტაბილური და ყველასათვის ცნობილი თამაშის წესები. ესაა ის სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის უფლებებით და მოქმედი სამართლით და ადამიანს შეუძლია საკმაოდ ზუსტად გამოიცნოს ხელისუფლების რეაქცია მის ქმედებაზე, ვინაიდან ამ სახელმწიფოს მართავენ არა თავნება მოხელეები და თანამდებობის პირები, არამედ მკაფიო კანონები.

სეგრეგაცია — რასობრივი ჯგუფების იძულებითი გამოყოფა, რომელთანაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ეროვნების ჯგუფის დისკრიმინაცია მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად შეიძლება აღიარებული იყოს რასათა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

სსსმ მოსწავლე – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

ტ

ტრანზაქცია _ სხვადასხვა ფინანსური ოპერაციის: თანხის შეტანის, გადარიცხვის, განაღდების და ა. შ. – შესრულება.

ქ

ქსენოფობია _ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს`შიშს უცხოელის მიმართ. ეს არის შფოთვა, რომელიც ყოველივე უცხოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებებითა და წინასწარგანსჯით ხასიათდება. ეს შიში განსხვავებული ადამიანების მიუღებლობასა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

შ

შინამეურნეობა _ საზოგადოების ძირითადი მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო უჯრედი – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც).

შშმ პირი _ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

წ

წარმომადგენლობითი დემოკრატია _ 1. მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხალხის უფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ხორციელდება არა უშუალოდ, არამედ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული წარმომადგენლების მეშვეობით. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ორი ძირითადი ელემენტია მმართველთა გამიჯვნა მართვის ობიექტებისგან და პერიოდული არჩევნები, როგორც ხალხის მიერ მმართველთა კონტროლის საშუალება. წარმომადგენლობითი დემოკრატია ასოცირებულია მმართველობის ორ ძირითად სისტემასთან: საპარლამენტო და საპრეზიდენტო დემოკრატიასთან. 2. დემოკრატიის შეზღუდული და არაპირდაპირი სახეობა, რომელიც ეფუძნება იმათ შერჩევას (ჩვეულებრივ, არჩევნების გზით), ვინც ხალხის სახელით მართავს.

ხ

ხუნტა _ 1. ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში: საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, ქალაქის მმართველობა, მუნიციპალური საბჭო, თვითმმართველი ადმინისტრაციული ერთეულის საოლქო ხელმძღვანელობა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ცალკეული სესია ესპანურენოვან ქვეყნებში ხშირი სამხედრო გადატრიალებების დროს, როდესაც როდესაც ხელისუფლებას შეიარაღებული ძალები იღებენ, მათი მეთაურები აყალიბებენ სამხედრო ხ-ს, რომელიც დროებითი მთავრობის ფუნქციას ასრულებს და ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და მაკონტროლებელი ორგანოების მოვალეობებს. 2. ა) ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხელისუფლების აღმასრულებელი სამთავრობო ორგანო (რომელიც როგორც წესი ხელისუფლებაში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოდის); ბ). შეთქმულთა ჯგუფი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელისუფლება ხელში და რომელიც ქვეყანას დიქტატორული მეთოდებით მართავს.

ჰ

ჰომოფობია _ ანტიპათია ან სიმუღვილი იმ ხალხის მიმართ, რომლებსაც განსხვავებული ექსკლუზური ორიენტაცია აქვთ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მღელვარებით, ზიზღით, მტრობით, აგრესიით, დისკომფორტით ან შიშით.

5. სახელმძღვანელოში გამოყენებული სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
3. საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
6. საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი
7. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ
8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
9. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი
10. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ
11. საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ
12. საქართველოს სასამართლოები https://www.court.ge/geo_dictionary
13. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4945>
14. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში GSS - <http://dictionary.css.ge/about>
15. საქართველო კანონის უზენაესობის 2021 წლის ინდექსში - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. - ბოლო ნახვა 2.07.2022 წ.
16. სამართლებრივი კულტურა - ლია გიგაური, მაკა ფერაძე, გიორგი გახელაძე, 2012 წ. , ბოლო ნახვა 30.06.2022 წ.
17. სამართლებრივი კულტურა - ნინო ერემაშვილი, მაკა ფერაძე, ელგუჯა მაკალათია, გიორგი გახელაძე, 2009, PH International
18. კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის, საავტორო უფლება - ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი 2012 წ. ISBN: 978-91-86910-81-5
19. პრაქტიკული სამართალი, მოსწავლის სახელმძღვანელო, გიორგი გობრონიძე, ინგა თოდრია, რაულ აგიკიანი, რევაზ ხოფერია, კახა წიქარიშვილი, 2014 წელი. ბოლო ნახვა 10.07.2022 წ.
20. ია აფთარაშვილი, სტატია - მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება, <https://bit.ly/3x5Ipfw>
21. საგანი - მოქალაქეობა, გზამკვლევი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო <https://mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf>